ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ლევან აბაშიძე: „საქართველოს საპატრიარქო უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მხარდაჭერას ალბათ გაწელავს“



გვ.5

8 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი

საზღაური



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

სამშაბათი, 8 იანვარი, 2019 | №5 (7860) | ფასი: 60 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი ძიუდოისტებს ემუქრება

„ვინც არ დამიჯერებს, გახარია დაიჭერს“

გვ.2

გვ.3

„ოცნება“ ხალხს რევოლუციისკენ უბიძგებს“

„ბიძ ივ ინი კიმ ჩენ ინის მეთოდებით მართავს ქვეყანას“

„სასამართლო სისტემაში არეულობა წულუკიანის ბრალია“

გვ.4

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „სააკაშვილის მოსამართლეების უზენაეს სასამართლოს მოსამართლეებად განმწესება ყოვლად დაუშვებელია“

ავთანდილ დემეტრაშვილი: „ოცნება“ უმრავლესობას შეინარჩუნებს“

გვ.2

გვ.5

აფხაზეთში საბავშვო ბაღებში ბავშვებს სამხედრო ფორმით სიარულს აიძულებენ

სამართალი გვ.7

ღვინის აღმართზე პოლიციის ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა

თავდასხმა სკოლის მოსწავლეებზე ახალციხეში — ერთ მოზარდს ორივე ხელი აქვს მოტეხილი, მეორეს კი — ყბის ძვალი

ბესელია: „ოცნება“ ხელისუფლებაში არ იქნება იმდენი დროით, რამდენი ხნითაც ამ მოსამართლეებს ვირჩევთ“

ეკონომიკა გვ.6

„ოცნების“ დეპუტატი ბექა ოდიშარია თაბორის მთაზე 21-სართულიან სასტუმროს აშენებს

მიხეილ ხიდურელი: „წელს გრანტების პროგრამა იქნება განსხვავებული“



ბექა წაქაძე: „2018 წელი ჩვენი ბიზნესისთვის და, საერთოდ, სამშენებლო ბიზნესსექტორისთვის რთული იყო“

ISSN 1987-9385

3 რა მოლოდინები უნდა გვქონდეს ნავთობის ფასთან დაკავშირებით ახალი წლიდან

6 6 თვეში რაჭა-ლეჩხუმში 19 მიტოვებული სახლი გაიყიდა — ყველაზე იაფი 1.500, ყველაზე ძვირი 8.000 ლარი ღირდა

7 მეუფე გრიგოლი: „დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე „დამოკლეს მახვილივითაა“ ეკლესიის თავზე“

8 რუსეთი-აშშ: კონფრონტაცია გარდაუვალია?!

ბიძინა ივანიშვილი ძიუდოისტებს ემუქრება

„ვინც არ დამიჯერებს, გახარია დაიჭერს“

შორენა მარსაგიშვილი

ქართულ ძიუდოში ისეთი ამბები დატრიალდა, „ქართულ ოცნებაში“ დაწყებული არეულობა მასთან შედარებით მონაგონია. და რაკი ბიძინა ივანიშვილი ერის მამად არის მიჩნეული, მან ძიუდოში არსებული პრობლემების მოგვარება თავად იტვირთა.

მან დაპირისპირებული მხარეები, ასევე წარსულში ცნობილი ძიუდოისტები თავისთან დაიბარა და ჭეშმარიტ ძიუდოზე ესაუბრა.

ნიცშენაზიარებმა ივანიშვილმა კარგად იცის, რომ სპორტსმენებთან მარტო ჭეშმარიტებაზე საუბარი და შეგონებანი არ ჭრის. ამიტომ მან თავისებური იპონი გამოიყენა – ურჩებს და გაუგონრებს შინაგან საქმეთა მინისტრით დაემუქრა.

– ვინც არ დამიჯერებს, მას გახარია დასჯის, – ასე მიმართა ივანიშვილმა მასთან საქმის გასარჩევად ასულ მოჭიდავეებს.

როგორც „ახალ თაობას“ ძიუდოს ფედერაციასთან დაახლოებულმა წყარომ აცნობა, ეს მუქარა ძირითადად დავით ქევხიშვილს ეხებოდა. ძიუდოს ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ დავით ქევხიშვილს ძიუდოისტების ნაწილი სიტუაციის არევაში ადანაშაულებს.

– ივანიშვილმა პირდაპირ უთხრა ქევხიშვილს, რომ თუ არ გაჩერდება, მას გახარია დაიჭერს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ძიუდოს ფედერაციასთან დაახლოებული წყარო.

დავით ქევხიშვილი ამ მომენტისთვის ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეა. 2012 წელს ის „ქართული ოცნებიდან“ მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს.

დეპუტატი ვერ გახდა, მაგრამ ივანიშვილმა ის ყვარლის გამგებლად დანიშნა. ეს პოსტი დიდხანს ვერ შეინარჩუნა. რამდენიმე წლის წინ ის დააპატიმრეს. როგორც მაშინ თქვეს, ის „ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებას შეეწირა.

ძიუდოს ფედერაციაში არსებული დაპირისპირებაც „ოცნების“ კლანებს შორის არსებულ უთანხმოებასთან არის კავშირში.

ჩვენს მკითხველს კარგად ახსოვს ძიუდოისტების აქციები, რომლებიც ქევხიშვილის გადადგომას ითხოვდნენ. მაშინ ქევხიშვილის გარემოცვა ამბობდა, რომ ამ პროცესების უკან „ოცნების“ დეპუტატი შოთა ხაბარელი იდგა. ხაბარელი ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონია და ამ სფეროში კარგი სახელით სარგებლობს.

მართალია ქევხიშვილი ფედერაციის პრეზიდენტობიდან წავიდა, მაგრამ ძიუდოში მისი მომხრეები დარჩნენ. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ფიზიკურად ხშირად უსწორდებიან. ეს დაპირისპირება შედეგებზეც აისახა. ისე ცუდად წავიდა ქართული ძიუდოს საქმე, რომ ივანიშვილმაც კი მოიცადა მათთვის.

როგორც „ახალი თაობის“ წყარო ამბობს, ის ძიუდოისტები, რომლებიც ქევხიშვილის მოწინააღმდეგე ბანაკში არიან, ერის მამასთან შეხვედრით ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.

– ბიჭები ძალიან კმაყოფილები იყვნენ. ივანიშვილმა მოითხოვა, რომ მათ ის მწვრთნელი დაუბრუნონ, ვის დაბრუნებასაც ითხოვენ. საუბარია გიორგი ბაინდურაშვილზე, – აღნიშნა ფედერაციასთან დაახლოებულმა წყარომ.

შეხვედრას არ დასწრებია პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე შოთა ხაბარელი, თუმცა ის დეტალურად არის ინფორმირებული თუ რა მოხდა ამ შეხვედრაზე. ამის მიუხედავად ის დეტალებზე არ საუბრობს.

ხაბარელს არც იმაზე სურს საუბარი თუ რატომ დაიმუქრა ივანიშვილი. მას ამის გამო არც პროტესტი გამოუხატავს, არც საქმეში გახარიას ჩარევა აღელვებს.

არადა ცოტა ხნის წინ გახარიას ხსენების გამო ლამის ანათემას გადასცა მეუფე იაკობი. მეუფემ განაცხადა, რომ გახარია მოსკოვის კაცია და ის პრემიერი ვერ გახდება.

მაშინ ხაბარელმა განაცხადა, რომ მღვდელმთავარი სახელმწიფოს საქმეებში ერევა. მოქალაქე ივანიშვილი რომ ძიუდოს საქმეებში ერევა და იმუქრება, ეს ხაბარელისთვის უცნაური არ აღმოჩნდა.

ერთ-ერთ ასეთ გარჩევაზე ის რამდენიმე წლის წინ იმყოფებოდა. ალბათ გახსოვთ ის დრო, პარლამენტის სპორტის კომიტეტი

ლევან ყიფიანს რომ აუხირდა. კომიტეტმა სერიოზული დასკვნა დადო, რასაც ყიფიანის გადადგომა უნდა მოჰყოლოდა.

ყიფიანს მაშინდელი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი მფარველობდა და ის თანამდებობაზე დარჩა.

ხაბარელი და კიდევ რამდენიმე მოჭიდავე დეპუტატი ივანიშვილთან მივიდნენ და საქმე გაარჩიეს, რის შემდეგაც ყიფიანი პოსტიდან მიაბრძანეს.

სპორტის მინისტრის პოსტის დაკავება შოთა ხაბარელს უნდოდა, მაგრამ ივანიშვილმა ამდენი უკვე აღარ დაუთმო.

რაც შეეხება ივანიშვილთან გამართულ შეხვედრას, შეხვედრის მონაწილეები დეტალებზე ღიად არ საუბრობენ. მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მთავარმა მეოცნებემ მათ ძიუდოს განვითარებასთან დაკავშირებით თავისი ხედვები გააცნო.

ვნახოთ, გაჭრის თუ არა გახარიას ფაქტორი ძიუდოისტებზე. აქ არსებული ვითარება უკვე უკიდურესად მძიმეა და ეს შედეგებზეც უარყოფითად აისახება. გარდა იმისა, რომ ძიუდოისტები შეჯიბრებებზე ცუდად გამოდიან, ისინი ერთმანეთს ფიზიკურადაც უსწორდებიან.

ქევხიშვილის და ფედერაციის მოქმედ პრეზიდენტს მომხრეები მოქმედ ძიუდოისტებშიც ყავს.

ავთანდილ დემეტრაშვილი: „ოცნება“ უმრავლესობას შეინარჩუნებს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ავთანდილ დემეტრაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ავთანდილ, კონსტიტუციის ახალი რედაქცია პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე ამოქმედდა. თუ არის უკვე შესამჩნევი საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნები?

– კონსტიტუციის მიხედვით, რასაკვირველია, საპარლამენტო რესპუბლიკა გვაქვს, მაგრამ არსებობს ფორმალური-იურიდიული კონსტიტუცია და არსებობს მცოცავი კონსტიტუცია ანუ რეალობა, რომელიც ამ ფორმალური კონსტიტუციის საფუძველზე იქმნება. დღეს ძალიან ძნელია იმის თქმა, რომ რაიმე სახით ე.წ. კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკა მოქმედებს ჩვენთან. ამის რამდენიმე მიზეზი შემიძლია დაგისახელოთ: პირველი, საპარლამენტო რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი არის ქვეყანაში მაღალი პოლიტიკური კულტურა. თუნდაც ამ ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ეს ასე არ არის. მეორე, საპარლამენტო რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში უდავოდ ყოველთვის პირველი არის პრემიერ-მინისტრი. მიუხედავად ჩემი პატივისცემისა, მე ვერ ვიტყვი, რომ დღეს ქვეყანაში ბახტაძე არის პირველი პირი.

მესამე, ძნელი წარმოსადგენია კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკაში გარედან იმართებოდეს სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა სისტემა. კარდინალური გადაწყვეტილებები მიღებული იყოს გარედან. ვერსად ვერ გავექცევით, რომ ბიძინა ივანიშვილი, რეალურად როგორც მმართველი პარტიის ხელმძღვანელი, მნიშვნელოვანი სუბიექტი არის სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებასა და ფუნქციონირებაში.

– ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების ერთ-ერთ მიზეზად ესეც დასახელდა, რომ ის არ არის არაფორმალური მმართველი და რომ უკვე მმართველი პარტიის თავმჯდომარეა. კონსტიტუციურად არის ეს საკმარისი სახელმწიფოს მართვისთვის?

– არა, კონსტიტუციურად ეს არ არის გამართლება. პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება იყოს რაღაც მიზანშეწონილი. თუმცა, ვერავინ ვერ დამისახელებს საპარლამენტო რესპუბლიკას, სადაც გარედან ან გარედან ზეგავლენით იყოს სახელმწიფო გადაწყვეტილებები მიღებული. მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნებში ივანიშვილმა პირდაპირ მიიღო მონაწილეობა. მაგალითად, დღევანდელი პოლიტიკური რეალობა რომ მოვიყვანოთ, შეიძლება შეიკრიბოს მმართველი პოლიტიკური გუნდი, მათ შორის ბიძინა ივანიშვილი და შეიძლება ეკა ბესელიას პრობლემა გადაწყვიტონ, ეს შეიძლება გასაგები იყოს, მაგრამ აქტიურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რასაც არჩევნები ჰქვია, რომელშიც მონაწილეობს უშუალოდ პირი, რომელიც არ არის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, ეს არ ჯდება კონსტიტუციონალიზმის კლასიკურ კონცეფციაში.

– ვინაიდან ბესელია ახსენეთ, არ შეიძლება არ გკითხოთ „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზე, მოვლენათა განვითარება როგორი შეიძლება იყოს, შეიძლება „ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგოს?

– არის კი ეს საკითხი კონსტიტუციური, ცოტა სადავოა, მაგრამ მე ვფიქრობ, „ქართულ ოცნებას“ არ ემუქრება ასეთი საშიშროება. ეს ერთი და მეორე, ან კი რისთვის სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა?! კონსტიტუციის გადასინჯვას ჯერ ისინი არ აპირებენ. სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი გარდამავალი დებულებები, რომელიც არსებობს, რატომ არ შევიდა კონსოლიდირებულ კონსტიტუციის ტექსტში. „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა ხომ არ უშვებს შესაძლებლობას, რომ კვლავ დადგეს კონსტიტუციის, გარდამავალი დებულებების გადასინჯვის საკითხი.

ძირითადი საკითხი, ცხადია, საარჩევნო სისტემას და მის ცვლილებას ეხება. შესაძლებელია ამ საკითხზე მსჯელობა იყოს მმართველ პარტიაში. გარდა ამისა, საზოგადოებაში სხვა მოთხოვნებიც არსებობს კონსტიტუციის გადასინჯვის, მაგალითად, უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებით, რომლის გაუქმებამაც გარკვეული ვაკუუმი შექმნა.

მაგალითად, დღეს არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ბევრი პოლიტიკურ კრიზისად მოიხსენიებს, უნდა შეკრებილიყო ქვეყნის სამი პირველი პირი: პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტი და ეძიათ გამოსავალი ამ სიტუაციიდან. თუმცა, „ოცნება“ ამას საჭიროდ არ თვლის, ვინაიდან არსებობს ბიძინა ივანიშვილი და მმართველი გუნდი. ახლა შეიკრიბებიან და, ცხადია, გადაწყვეტილებასაც მიიღებენ. თუმცა, უკეთესი იქნებოდა, ყოფილიყო ინსტიტუციური გადაწყვეტილება ან პარლამენტის ხელმძღვანელობის, ან უმრავლესობის დონეზე.

– თუმცა, ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი პარტიის თავმჯდომარეა.

– რასაკვირველია.

– ბატონო ავთო, ელოდებით, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით კონსტიტუცია გადაისინჯოს და ამ დათმობაზე წავიდეს ხელისუფლება?

– დღეს აღარ ველოდები. თუმცა, არ დაგიმალავთ და გეტყვით, საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ ველოდი. აქვე ისიც უნდა გითხრათ, თუ „ოცნება“ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ჩაატარებდა, ის აუცილებლად მოიგებდა. თუმცა, დღეს, როდესაც მმართველი პოლიტიკური გუნდის შიგნით აშკარად არის პრობლემები და ეს ალბათ მწვავე პრობლემებია, რადგან ეკა ბესელია არ არის მესამეხარისხოვანი პოლიტიკური ფიგურა, მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, ვერ გეტყვით, რა ბრალდება უნდა წაუყენონ, რადგან მის მიმართ ბრალდების წაყენება „ქართულ ოცნებასაც“ დააზიანებს. ის პარტიის ერთ-ერთი სახე იყო, ამიტომ ამ ეტაპზე ეს ყოვლად გამორიცხულია.

ეს ერთი მიზეზი, მეორე მიზეზი თავად ოპოზიციაშია, დღეს აშკარად ჩანს, რომ არც ოპოზიცია არის განწყობილი ბრძოლისთვის. ვნახოთ, ხვალ რა იქნება. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს, რატომ არ იყენებს ოპოზიცია კონსტიტუციურ მექანიზმებს.

– რასთან დაკავშირებით?

– საარჩევნო სისტემის შეცვლის მოთხოვნასთან დაკავშირებით. თუკი ოპოზიციამ 800 ათასი ხმა მიიღო, რატომ უჭირს მას 200 ათასი ხმის შეგროვება, რომლითაც შეიძლება კონსტიტუციური საკითხის ინიცირება, ამ შემთხვევაში კი, რასაკვირველია, საარჩევნო სისტემის ცვლილების ინიცირების მოხდენას ვგულისხმობ.

გაერთიანებულ ოპოზიციას არ გაუჭირდება 200.000 ხელმოწერის შეგროვება, ამ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, პარლამენტი ვერ უარყოფს ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს, ამ ინიციატივის უგულებელყოფას. პარლამენტი იძულებული იქნება, შეიტანოს ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში და, შესაბამისად, კონსტიტუციაში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ ხალხს რევოლუციისკენ უბიძგებს“

„ბიძ ივ ინი კიმ ჩენ ინის მეთოდებით მართავს ქვეყანას“

შორენა მარსაგიშვილი

დიმიტრი ბიძინაშვილი: „სანამ ივანიშვილი სალომეს გაპრეზიდენტებაში დახარჯულ ფულს ბოლო თეთრამდე არ ამოიღებს, არ გაჩერდება“

რას ისახავს მიზნად საპენსიო რეფორმა, რისკენ უბიძგებს „ოცნება“ ხალხს, რას ვერ იყოფენ მმართველ გუნდში, რითი უნდა ისარგებლოს ოპოზიციამ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

დიმიტრი ბიძინაშვილი:

– საქართველოს ხელისუფლების მადა უსაზღვროა და დამატებითი შემოსავლების მოსაპოვებლად, მათ ხალხს ახალი ხარკი დაუწესეს. ამ ხარკს დაგროვებითი პენსია დაარქვეს. არავინ არ ამბობს, სად წავა ხალხისგან ამოღებული თანხები. ეს ყველაფერი გაყინულ ანაბრებს მაგონებს. სავარაუდოდ, ახლაც ასეთი რამე მოხდება.

ეს ყველაფერი რომ ნებაყოფლობითი ყოფილიყო, შეიძლებოდა მივსალმებოდი კიდევაც, მაგრამ ამ შემთხვევაში სახელმწიფო ძალადობს საკუთარ მოქალაქეებზე. გაძვირებული პროდუქტების და გადასახადების ხარჯზე, ხალხს დამატებით კიდევ 2%-ს აჭრის ხელფასიდან.

დამერწმუნეთ, რომ ხალხს მარტო 2% არ ჩამოეჭრება. დამატებითი 2%-ის გადახდა კომპანიებსაც მოუწევთ. კომპანიები ამ გადასახადს, დიდი ალბათობით, ისევ დასაქმებულებს მოაკლებენ და ასე გადაიხდიან დამატებით გადასახადს.

აქამდე ხელისუფლებას ჩვენთვის ჯიბეში ჰქონდა ხელი ჩაყოფილი და ასე გვაცლიდა ფულს, ახლა პირდაპირ ძარცვაზე გადავიდნენ.

„ოცნებამ“ ვერ შეიგნო, რომ რაც უფრო მეტი ფული იტრიალებს ხალხში, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. შესაძლოა ესმით კიდევაც ეს, მაგრამ მაინც ურჩევნიათ, რომ ხალხი გაღატაკდეს. სამაგიეროდ თავად ექნებათ ბევრი ფული. სწორედ ჩინოსნების გამდიდრებას ემსახურება „ქართული ოცნების“ მოგონილი საპენსიო რეფორმა.

– ეს ხალხში დამატებით უკმაყოფილებას გამოიწვევს. ჯერ მოსახლეობა ყველაფერს გაგებით ეკიდება, მაგრამ ერთ დღეს მოთმინების ფიალა აევსებათ. ამაზე არ ფიქრობენ?

– საქმეც ისაა, რომ ყოველი არჩევნების წინ ქმნიან ილუზიებს, თითქოს საა კაშვილი ბრუნდება და არეულობა მოხდება. ამომრჩევლის მოსასყიდად ცოტა ფულსაც დახარჯავენ, დაარიგებენ კარტოფილს და ხახვს. ამის დამაგვირგვინებელი აკორდი ატირებული ივანიშვილი იქნება. ის ცრემლიანი თვალებით სთხოვს ხალხს, რომ კიდევ ერთი წელი აცადონ. ასეთი გზებით იგებენ არჩევნებს. ამიტომ არ ფიქრობენ ხალხის რეაქციაზე.

არჩევნების წინ ნაციონალების დაბრუნებითაც აშინებენ მოსახლეობას. ამ დროს ყველაზე დიდ ნაციონალს, რომელთანაც თავად ნაციონალებსაც კი კითხვები აქვთ, უვადოდ ნიშნავენ მოსამართლედ. მხედველობაში მურუსიძე მყავს. ივანიშვილს საზოგადოების მოტყუება ჯერ კიდევ გამოსდის. ამის გარდა, ფულსაც ხარჯავს.

არჩევნების შემდეგ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვი, რომ „ოცნების“ ლიდერმა რა ფულიც არჩევნებზე დახარჯა, იმას ხალხისგან აუცილებლად ამოიღებს. სწორედ ეს პროცესი მიდის ახლა. პურის გაძვირებაც დახარჯული ფულის ამოღების მიზნით მოხდა.

– სამაგიეროდ ბუნებრივი აირის ტარიფი გაიაფდა.

– საზეიმოდ გამოგვიცხადეს, გაზის ტარიფმა 0.14 თეთრით დაიწიაო. მაგრამ აღმოჩნდა რომ ტარიფის დაწევა სუბსიდირების ხარჯზე მოხდა. ეს თანხა ბიუჯეტმა უნდა დაფაროს, ბიუჯეტი კი ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებით ივსება.

გაძვირება და ახალ-ახალი ხარკის დაწესება გაგრძელდება მანამდე, სანამ ოლიგარქი იმ ფულს არ ამოიღებს, რაც სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებაში დაეხარჯა.

ოლიგარქს და მის გუნდს სულ უფრო უჭირს ძალაუფლების შენარჩუნება. „ოცნებას“ ხელისუფლებაში პროფესიონალები რომ მოეყვანა, საქმე აქამდე არ მივიდოდა. ისინი მაინც ოროსნებს აწინაურებენ თანამდებობებზე. მაგალითად, ისეთი ხალხი მოჰყავთ, ვინც ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას ერთმანეთისგან ვერ არჩევს.

ცოტა ხნის წინ ხელში ჩაგვივარდა დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს კახა კალაძე. ამ დოკუმენტის თანახმად, კალაძემ ჩრდილოეთ კორეაში გაუშვა ხალხი მივლინებაში. იმედი მაქვს, რომ მართლა ჩრდილოეთ კორეაში არ გააგზავნეს დელეგაცია.

– რა იცით, იქნება მართლაც ჩრდილოეთ კორეაში გააგზავნეს, ექსპერტები უკვე დიდი ხანია ჩივიან – საქართველო ჩრდილოეთ კორეის გზას დაადგაო.

– არც ის გამიკვირდება, კალაძემ ხალხი ჩრდილოეთ კორეაში გააგზავნოს ტრეინინგებზე. გაიკლის ეს ხალხი ფხენიანში სპეციალურ კურსებს და ივანიშვილის სახით ქართველ კიმ ჩენ ინს ანუ ბიძ ივ ინს მივიღებთ.

– ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში რაიმე თანამდებობა არც კიმ ჩენ ინს უკავია, ისიც ბიძინას მსგავსად მხოლოდ პარტიის თავმჯდომარეა.

– მაგიტომაც დავადექით კორეიზაციის გზას. კახა კალაძე დიდი კორეოლოგი აღმოჩნდა, რომელიც ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს.

– კალაძე ფეხბურთელობის დროს საკუთარ და მეტოქის კარს ვერ არჩევდა და დიდი ამბავი, ფხენიანი და სეული თუ აერია ერთმანეთში.

– ასეთი ადამიანები რომ არიან ხელისუფლების სათავეში, მაგიტომაც ვერ ვითარდება ქვეყანა. თუ გვინდა, რომ სახელმწიფო ფეხზე დადგეს, მაშინ აუცილებლად უნდა მოხდეს ცვლილებები. ამ ცვლილებებს ან ხელისუფლება საკუთარი ნებით განახორციელებს, ან მიიღებენ რევოლუციას.

– მივა ვითომ აქამდე საქმე?

– თუ დემოკრატიისთვის ადგილი არ დარჩება, ხალხი ხელისუფლებას რევოლუციით გასცემს პასუხს. ახლა ჯერი „ოცნებაზეა“ – ისინი ან დემოკრატიული არჩევანის საშუალებას მისცემენ საზოგადოებას, ან ძალიან ცუდად დაამთავრებენ.

რევოლუციის შემთხვევაში ქვეყნის საქმეც არ იქნება კარგად. ასეთი მოვლენები სახელმწიფოს განვითარებისთვის ძალიან ცუდია.

– ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ რევოლუცია შესაძლოა „ოცნების“ ერთ-ერთმა ფრთამ მოაწყოს. ამაზე რას ფიქრობთ?

– მმართველ პარტიაში არსებული დაპირისპირება უფრო მოჩვენებითია. ივანიშვილს ჰქონდა ორი არჩევანი – ან პური უნდა მიეცა ხალხისთვის, ან უფასო სანახაობა.

ოლიგარქმა უფასო სანახაობა აირჩია და ახლა გვაყურებინებს, თუ როგორ ჭამენ „ოცნების“ წევრები ერთმანეთს.

მინდა ხალხმა ერთ რამეს მიქციოს ყურადღება – ეს დაპირისპირება მიდის მეტი ძალაუფლების მოპოვებისთვის. ჩვენ პირდაპირ ეთერში ვუყურებთ თუ როგორ ინაწილებენ სკამებს და ბიუჯეტის ფულებს. იმ ბიუჯეტს ინაწილებენ, რომელიც ჩვენი გადახდილი გადასახადებით არის შევსებული.

თქვენ გსმენიათ რამე იმის შესახებ, რომ „ოცნებაში“ უთანხმება პენსიის არგაზრდის გამო მოხდა? ან იმის გამო იჩხუბეს, რომ სოციალურად დაუცველებს შემწეობა არ ეზრდებათ? არც იმის გამო უკამათიათ, რომ ათეულობით ათასი ბავშვი შიმშილობს. ამაზე არც ჩხუბობენ. ეს ყველაფერი „ოცნებისთვის“ მეორეხარისხოვანია. ისინი იმ ადგილებისთვის ჩხუბობენ, სადაც დიდი ფული იშოვება.

ხალხი ნაგვის ბუნკერებში ეძებს პურს და „ოცნებისგან“ არასდროს მომისმენია, რომ მოდი, ჩვენ არ გავიზრდით ხელფასებს და ეს თანხა ულუკმაპუროდ დარჩენილებს გავუნაწილოთ.

კალაძემ მომღერლების ჰონორარებისთვის 1.700.000 რომ გამოყო, ამას არ ჯობდა, სოციალურად დაუცველებს დახმარებოდა? კალაძე მიიჩნევს, რომ ადამიანის გამოსაკვებად დღეში 1.18 თეთრია საკმარისი. შვეიცარიაში წავიდა დასასვენებლად. იმ დროს წავიდა, როცა დედაქალაქში ყველა მიმართულებით კოლაფსია.

– თქვენ „ოცნებაში“ მიმდინარე დაპირისპირებას უფასო სანახაობას უწოდებთ, მაგრამ ეს დაპირისპირება მაინც ასუსტებს მმართველ გუნდს. ამით, წესით, ოპოზიციამ უნდა ისარგებლოს.

– ამ დაპირისპირებამ ოპოზიციას მართლაც შეიძლება მოუტანოს წარმატება. მთავარია გაერთიანება მოხდეს. ვნახეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციამ 800.000-ზე მეტი ხმა აიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციის გაერთიანება საზოგადოების დაკვეთაა.

ახლა გათითოკაცების და პოლიტიკური კეკლუცობის დრო არ არის. ქვეყნის ნორმალურ რელსებზე გადაყვანა თუ გვინდა, ოპოზიციის გაერთიანება აუცილებელია. ნორმალურ რელსებზე მალე თუ არ გადავიყვანეთ ქვეყანა, ხვალ შეიძლება საერთოდ გავქრეთ რუკიდან – მცოცავი ოკუპაცია ყოველდღე გვიახლოვდება.

– ამ მცოცავ ოკუპაციაზე ხელისუფლებას საერთოდ არა აქვს რეაქცია და ამ დუმილს რითი ხსნით?

– „ოცნებას“ ამაზე არც ექნება რეაქცია. მათთვის უმჯობესია, ხმა არ ამოიღონ და რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკა აწარმოონ.

– და ამ პოლიტიკას რა შედეგი მოაქვს?

– ქვეყნისთვის დამანგრეველი შედეგი მოაქვს. ხელისუფლებას რუსეთთან დალაგებული აქვს. სხვა თუ არაფერი, ქვეყნის სათავეში რუსი ოლიგარქი გვიზის.

რა მოლოდინები უნდა გვქონდეს ნავთობის ფასთან დაკავშირებით ახალი წლიდან

– 2018 წელი ბიზნესი ინდუსტრიისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევების წელი იყო, ნავთობის ფასი არაერთგვაროვნად ვითარდებოდა; მეორე გამოწვევა იყო ლარის კურსის დოლართან მიმართება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ყოველივემ გარკვეული დაღი დაასვა ინდუსტრიას, ზოგადად მაინც დამაკმაყოფილებლად ვაფასებთ 2018 წელს, – განაცხადა რადიო კომერსანტთან საუბრისას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ, ვანო მთვრალაშვილმა.

– გასული წელი ნავთობზე რეკორდულად მაღალი ფასებით დახასიათდა, რამაც გამოიწვია როგორც მომხმარებლების დიკსომფორტი, ისე კომპანიებისთვის მომხმარებლების უკმაყოფილება და რეალიზაციის შემცირება. წლის ბოლოსთვის სიტუაცია დასტაბილურდა, ფასები შემცირებულია, ლარის კურსი სტაბილურობას ინარჩუნებს და ასე მაჟორული ტონით სრულდება წელი. ფასები 10-15 თეთრით შემცირდა და ეს ტენდენცია კვლავ გაგრძელდება. რისკები, რომელიც ახლავს არასტაბილურ ვალუტას, ძალიან მაღალია იმ ინდუსტრიებში, რომლებიც დამოკიდებულები არიან მასზე. როცა ეს რისკები მცირდება, ბიზნესიც გაცილებით თავისუფალ რეჟიმში ვითარდება.

გასული წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ასევე კვლევის შედეგები, რომელიც იკვლევდა საწვავში ტყვიის შემცველობას, 240-მდე სინჯი იქნა აღებული და დადასტურდა, რომ ჩვენს საწვავში ტყვია არ არის და ეს სიახლეს არ წარმოადგენს. ბოლო 10 წელზე მეტია ტყვიის შემცველობის საწვავი საქართველოში არ შემოდის. ბოლო წლებია ასევე ვითარდება ინფრასტრუქტურაც. შენდება ახალი ავტოგასამართი სადგურები, რომლებიც თანამედროვე ტექნიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის ნორმებითაა აშენებული. ბოლო 4-5 წლის ტენდენციაა მუდმივად მზარდი იმპორტი და მოხმარება. თუმცა წელს მოხმარება შემცირებულია, რაც გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით, მათ შორისაა ჰიბრიდული სატრანსპორტო საშუალებების შემოსვლა, თუმცა უნდა ითქვას, რომ შემცირება 2-3%-ზე მეტი არ არის, – ამბობს ვანო მთვრალაშვილი.

„სასამართლო სისტემაში არეულობა წულუკიანის ბრალია“

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „სააკაშვილის მოსამართლეების უზენაეს სასამართლოს მოსამართლეებად განმწესება ყოვლად დაუშვებელია“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო დიმიტრი, გასულ წელს როგორ აფასებთ? წინა წლის სიმძიმე ხომ არ გადმოგვყვა ახალ წელშიც?

– ძალიან ბევრ სახელმწიფოში წინასაარჩევნო დაპირებებთან დაკავშირებით იმედგაცრუება ხდება ხოლმე. საქართველოც არ არის გამონაკლისი. ქვეყანაში ძალიან ბევრი იდეალისტი ადამიანი ცხოვრობს და ძალიან ხშირად წამოეგებიან ხოლმე საარჩევნო დაპირებებს. წინასაარჩევნო დაპირებებიდან გამომდინარე, საზოგადოების ეგზალტაცია და აღტკინება ხდება. ხშირ შემთხვევაში ავიწყდებათ, რომ მსგავსი დაპირებები ადრეც მისცეს, მაგრამ ყველაფერი უარესობისკენ იცვლება.

– კერძოდ, უარესობისკენ რა მიდის?

– მაგალითად, თითქოს 0,14 თეთრით გაგვიიაფდა გაზის ტარიფი, სინამდვილეში გაძვირდა პური, სიგარეტი, პირველადი მოხმარების საგნები.

– წინასაახალწლოდ და შემდგომ პერიოდში თითქოს ლარის კურსის მკვეთრი ცვლილება არ მომხდარა, არც გაზზე და დენზე გაზრდილა ფასი. რას უნდა გამოეწვია პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ცვლილება? ისე, საქართველოში საახალწლოდ ფასები ყოველთვის იზრდება.

– მე-7 მოწვევის პარლამენტში რომ ვიყავი, მაშინ საქართველოს საგარეო ვალი 12 მილიარდი დოლარი იყო. დღეს 17 მილიარდი დოლარია. ქვეყნის საგარეო ვალი 5 მილიარდით გაიზარდა, ანუ ჩვენ ვალების ეკონომიკის ქვეყანა ვართ. საქართველოს ბიუჯეტის ძირითადი შევსების წყაროა საქართველოს ტყავგაძრობილი მოქალაქე, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში ქვეყნიდან გარბის. თავისი ოჯახის შენახვა-გამოკვებისა და ავადმყოფის შენახვის გამო, ძალიან ბევრი ქალბატონი და მამაკაცი ქვეყანას ტოვებს. ახლად შექმნილი ოჯახები საქართველოში აღარ რჩებიან.

– საინტერესოა, რამდენი ადამიანი გადის ქვეყნიდან წელიწადში?

– ყოველწლიურად ქვეყნიდან 100 ათასი ადამიანი მიდის. ეს არ არის პატარა სტატისტიკა. შესაბამისად, ჩვენი ეკონომიკის შემავსებლის ძალიან დიდ სეგმენტს წარმოადგენს ქვეყნიდან გასული ადამიანების გზავნილები. როდემდე ვაპირებთ ასე ცხოვრებას, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

იმ პირობებში, როდესაც ინდუსტრია არ ვითარდება, ფასიანი ქაღალდების ბაზარი არ გაგვაჩნია. არ არის დათვლილი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობები, იმ პირობებში, როდესაც გეოლოგიური ინსტიტუტი გავაუქმეთ, სადაც დაცული იყო ჩვენი ბუნებრივი წიაღისეულების და, ფაქტობრივად, აუდიტი იყო ჩატარებულ და აუდიტის მონაცემები, საერთოდ, გაქრა, სამაგიეროდ, ლიცენზიებს ვყიდით მარცხნივ-მარჯვნივ. წყლის ფონდს ვყიდით ასევე მარცხნივ-მარჯვნივ.

– როგორც ვიცი, ტყეები იჯარით ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს გაიცა.

– დიახ, დღესაც წალენჯიხის, იმერეთის, სვანეთის, რაჭის ტყეებში ჩინური კომპანიები 20-25-წლიანი იჯარებით არიან შესულები. რეალურად, ჩვენ ქვეყანას ვაპარტახებთ. ქვეყანას არ ვავითარებთ. ჩვენი ეკონომიკა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. ჩვენ არ ვაკეთებთ იმას, რასაც ბევრი პოსტსაბჭოური ქვეყანა აკეთებდა.

– რას გულისხმობთ?

– სხვა ქვეყნები, თავისი ინტელექტუალური პოტენციალი რომ შეინარჩუნონ, ახალგაზრდებს საზღვარგარეთ სასწავლებლად უშვებენ, მაგრამ კონტრაქტს უდებენ, რომ იქიდან სპეციალისტი დაუბრუნდება. ჩვენ აქედან ვუშვებთ ბავშვებს, აქ დასაქმებისა და განვითარების არავითარი პერსპექტივა მეცნიერების თვალსაზრისით მათ არ გააჩნიათ. ამიტომ ისინი საზღვარგარეთ რჩებიან. ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის 85% საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. ჩვენ ვერ ვავითარებთ მეცნიერებას, რომელზეც დაფუძნებული უნდა იყოს ქართული ეკონომიკა. არ ვითარდება ინდუსტრია, არ ვითარდება წარმოება.

– ძალიან სავალალო სურათი დახატეთ. თქვენ გამოსავალს რაში ხედავთ, რა უნდა გავაკეთოთ?

– ფაქტია, რომ ეს არის რეალობა. ის, რომ ჩვენი მაღაზიების დახლებზე 78% უცხოური პროდუქცია დევს. ჩვენ საკუთარი წარმოების პამიდორიც კი არ გვაქვს ზამთარში სუპერმარკეტებში. დღეს 6 იანვარია და, ნახეთ, ქართული

წარმოების კიტრი და პამიდორი თუ იყიდება რომელიმე სუპერმარკეტებში. ყველა მიმართულებით პრობლემაა. სწრაფი ეკონომიკური სტარტი გულისხმობს ისეთი ეკონომიკური ბერკეტების განვითარებას, როგორიცაა მცირე და საშუალო მეწარმეობა. მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ კანონი არ გაგვაჩნია. ელემენტარულად, საფონდო ბირჟა არ გვაქვს.

– რისი ბრალია, რაღაც მიზეზი ხომ აქვს ამას?

– ქვეყანაში პოლიტიკური ნება და ხედვა არ არის. შადმან ვალავის დროიდან მოყოლებული, მსოფლიოს სავალუტო ფონდის მიერ დაგეგმილი ეკონომიკა არის მდგრადი განვითარების ეკონომიკა, რომელიც პროგრესზე ორიენტირებული არ არის. ქვეყანაში არ გვაქვს წარმოებები. წარმოება უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ ტექნოლოგიურ პროცესს. იმ ტექნოლოგიური პროცესის რაღაც ელემენტი მაინც უნდა გქონდეს ქვეყანაში.

გასაგებია, რომ ძირითადი ტექნოლოგიური მიღწევები განვითარებული ქვეყნების წილხვედრია და რაღაც იქიდან უნდა წამოიღო, მაგრამ შენი განვითარების ელემენტარული დონე მაინც ხომ უნდა აჩვენო რაღაც მიმართულებით. ბოლო-ბოლო გაგაჩნია სახელმწიფო უნივერსიტეტები. რისთვის არის ეს უნივერსიტეტები, რისი სამჭედლოა, ვინმემ ამიხსნას? რისთვის სწავლობენ იქ ახალგაზრდები? რატომ ვიხდით მშობლები ამ უმაღლეს სასწავლებლებში თანხებს? რა პროდუქტი იქმნება ამ სასწავლებლებში? რატომ არ ხდება ამის რევიზირება.

შრომის კანონთა კოდექსი ავიღოთ. ქვეყანაში მინიმალური ხელფასი 125 ლარია, როცა ადამიანი დასაქმებულია 125 ლარით, გნებავთ 200-250 და 300 ლარი იყოს ხელფასი, ასეთ ადამიანს რატომ ეწოდება დასაქმებული, ვინმემ ამიხნას? ჰოლდინგი ძლიერ სპეციალისტს 200 ლარზე ამუშავებს. რით ასაბუთებს ამ ჰოლდინგის ხელმძღვანელი, რომ მისი ჯამაგირი უნდა იყოს 5-6 ათასი ლარი, მისი დასაქმებულის კი – 200 ლარი?

– მსგავსი პრობლემა ბევრია.

– დიახ. დემოგრაფიული კატასტროფაა ქვეყანაში. დემოგრაფიული ზამთარი კი არა გამყინვარებაა. დემოგრაფიული გამყინვარების პერიოდი გვიდგას ქვეყანაში. რამდენი ხანია, რაც „ოცნებაში“ მსჯელობდნენ, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სოციალური პაკეტის შექმნის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივაზე. არაფერი გაკეთებულა. ე.ი. ის, რაც მნიშვნელოვანი და სტრატეგიულია იმ კუთხით, რაც ჩვენი ერის სასიცოცხლო ფუნქციის განმაპირობებელია საკანონმდებლო დონეზე, არაფერი კეთდება.

– ბატონო დიმიტრი, ახლა დიდი აურზაურია სასამართლოსთან დაკავშირებით. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს?

– მე თავიდანვე ქალბატონ თეა წულუკიანის პირველი კრიტიკოსი ვიყავი. მას ძალიან ხშირად ვაკრიტიკებდი. ქალბატონმა თეა წულუკიანმა გამოაცხადა, სასამართლო რეფორმის სამი ტალღის შესახებ, რომელიც ეტაპობრივად უნდა განვითარებულიყო და პირველი ტალღის განხორციელების შემდეგ განაცხადა, რომ ახალმა ხელისუფლებამ მოახერხა და მარწუხებისაგან დაიხსნა ის მოსამართლეები, რომლებიც მან გამოიყვანა ძველი სისტემის მსხვერპლად.

– სააკაშვილის მოსამართლეები.

– დიახ, ის მოსამართლეები, რომელთაგან ზოგი შემდეგ მათ გაამწესეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ზოგიც – უვადოდ. ეს ყველაფერი მართლმსაჯულების რეფორმის სახელით რომ კეთდებოდა, ამაში „ქართული ოცნებისა“ და თეა წულუკიანის პირადი „ღვაწლი“ და მონაწილეობა არ იკვეთებოდა.

– რეალურად, მართლმსაჯულების რეფორმა არ ჩატარდა?

– ეს იყო მართლმსაჯულების დეფორმა და არა რეფორმა (დეფორმაცია იყო). ამ ტიპის ჩარევების შედეგად, სასამართლო სისტემა დამახინჯდა, რადგან ძველი რეჟიმის შემოქმედები მსხვერპლებად გამოცხადდნენ. მოსამართლეები არიან დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების შემოქმედნი, რომლებიც საქართველოს სახელით გამოსცემენ გადაწყვეტილებებს, განჩინებებს და განაჩენებს იღებენ.

შესაბამისად, როგორც დამოუკიდებელი სასამართლო შტოს წარმომადგენელი ვერ იქნება პოლიტიკური სისტემის მსხვერპლი (მინდა ეს თეა წულუკიანმა შეიგნოს). ის შეიძლება იყოს ამ სისტემის შემოქმედი, თანამონაწილე ყველა იმ ბოროტებისა, რომელსაც საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ჰქვია.

– ამ ვითარებაში, რატომ გამოცხადდნენ ისინი მსხვერპლებად?

ყოველწლიურად ქვეყნიდან 100.000 ადამიანი მიდის. ეს არ არის პატარა სტატისტიკა. შესაბამისად, ჩვენი ეკონომიკის შემავსებლის ძალიან დიდ სეგმენტს წარმოადგენს ქვეყნიდან გასული ადამიანების გზავნილები. როდემდე ვაპირებთ ასე ცხოვრებას, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

– როდესაც 2013 წლის 6 ოქტომბერს ბატონ მურუსიძის შესახებ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ბატონი მურუსიძე დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის გარანტიაო, მაშინ მისთვის პოლიტიკოსებს უნდა ეთქვათ, ასე რომ არ იყო. ბატონი ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი. მას გარშემო პოლიტიკოსები ჰყავდა, მათ შორის, სამართლის სპეციალისტები. მათ შორისაა, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელსაც უნდა ეთქვა: ბატონო ბიძინა, ეს განცხადება არის აბსურდული, ლევან მურუსიძე ვერ იქნება იმ სისტემის დამოუკიდებლობის გარანტი, რომლის დამახინჯებისა და პოლიტიზაციის საკითხში ბატონ მურუსიძეს ლომის წილი აქვს შეტანილი.

შესაბამისად, უნდა ჩამოთვლილიყო ყველა ის არგუმენტი ჯერ კიდევ 2013 წელს და ივანიშვილისთვის ხელი უნდა აეღებინებინათ ასეთი

ავანტიურისტული ჩანაფიქრისთვის, რომელიც მან, საბოლოო ჯამში, მაინც გაიტანა და ამას შეეწირა უკვე მთელი ქვეყნის სტაბილიზაცია.

– ქვეყანაში არასტაბილურობას სასამართლო სისტემა და არსებული მოსამართლეები ქმნიან?

– დიახ. პარლამენტში უკვე კრიზისი დაიწყო. პოლიტიკური კრიზისი სახეზეა.

– პოლიტიკური კრიზისის რა ნიშნებს ხედავთ?

– ის, რომ მმართველ უმრავლესობაში ერთმანეთში გარჩევები დაიწყო, უკვე ერთმანეთს ლანძღავენ, ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, ქვეყანას, რომელიც ისედაც არასტაბილურ პოლიტიკურ ფეხებზე იდგა, საფუძვლები კიდევ უფრო შეერყა. ვინ იღებს იმაზე პასუხისმგებლობას, რომ ყველაფერი ძალიან დიდ დაპირისპირებაში, ანგარიშსწორებასა და ვენდეტაში არ გადაიზრდება? მით უმეტეს, როცა, ნაცმოძრაობა ამ პროცესის სეირის მაყურებელია, მშვენივრად ითბობს ხელს არსებული ვითარებით და სურს, რაც შეიძლება მეტად შეირყეს ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა.

– რეალურად, როდესაც სააკაშვილი თავის პოლიტიკას პროკურატურითა და სასამართლოთი ახორციელებდა, მოსამართლეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი როგორ იქნებიან?

– მოსამართლეები სააკაშვილის თანამოაზრეებიც იყვნენ და პოლიტიკური რეჟიმის მსახურნიც. მე სასამართლო პროცესებში ვმონაწილეობდი და შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ დღეს წარმოდგენილი მოსამართლეების 70%, მათ შორის, დღევანდელი იუსტიციის საბჭოს ზოგიერთი წევრი, არათუ პოლიტიკურად კორუმპირებულია, არამედ გახრწნილი სისტემის პირდაპირი მსახური იყო. ისინი იყვნენ გარანტი იმისა, რომ არასოდეს შერყეულიყო სააკაშვილის პოლიტიკური სისტემა.

სააკაშვილის მოსამართლეები ჩვენ სასამართლო დარბაზებში დაგვცინოდნენ. ადვოკატებს პირდაპირ მასხრად გვიგდებდა, მაგალითად, თამუნა ალანია – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლე. მე არ ვარ პირველი და უკანასკნელი. ბატონმა ლევან გოგიჩაიშვილმა და ბატონმა დაჩი ცაგურიამ პირდაპირ ხომ გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება და ამხილეს ის მოსამართლეები პოლიტიკურად მოტივირებული, დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ეს, რა, პატარა არგუმენტია, რომ პარლამენტის წევრი ღიად უპირისპირდება საკუთარი პარლამენტის უმრავლესობის წევრებს და ამხელს იმ მოსამართლეებს, რომელთა გამწესება პოლიტიკური კორუფციიდან გამომდინარე, მათ არ სურთ? ეს ცოტა მიზეზია იმისთვის, რომ მთელი ქვეყანა ფეხზე დადგეს? მართლა და მართლა, უკვე კმარა! ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანა ჩამოიშალა.

– როცა ამბობთ, ქვეყანა ფეხზე უნდა დადგესო, რას გულისხმობთ, აქციების გამართვას და იმ დეპუტატების მხარდაჭერას, რომლებსაც უზენაეს სასამართლოში სააკაშვილის მოსამართლეების ხილვა არ სურთ?

– რა თქმა უნდა. თუ თავს პოლიტიკოსებად მიიჩნევენ სიმართლის მხარეს მდგომი დეპუტატები, მათ უნდა ისარგებლონ სახალხო მანდატით, დეპუტატის სტატუსით, ჩახედონ საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს და იმოქმედონ თავისი უმაღლესი პასუხისმგებლობით. თუ საჭიროა, საზოგადოებასაც უხმონ, მოუწოდონ, მხოლოდ პროტესტი შიგნით და გაბუტვა არ კმარა.

ისინი ვალდებული არიან, ხალხს მოუწოდონ და სესიაზე საქართველოს პარლამენტის უმრავლესობას არავითარ შემთხვევაში არ მისცენ იმის ნება, რომ მათ იუსტიციის საბჭოს მიერ წარმოდგენილი სიის შესაბამისად, სააკაშვილის მოსამართლეები უზენაეს სასამართლოს მოსამართლეებად განამწესონ. ეს ყოვლად დაუშვებელია. ამას ისინი გადაყვებიან.

პარლამენტის იმ წევრებისთვის, რომლებიც სიმართლის მხარეს დგანან (ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე ჩანს), ახლა მნიშვნელოვანი გამოცდაა. მათ უნდა დაგვიმტკიცონ, რომ ისინი იმ პოზაში არ დგანან, რაც ვიღაცას თავისი ბინძური თამაშისთვის სჭირდება.

ლევან აბაშიძე: „საქართველოს საპატრიარქო უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მხარდაჭერას ალბათ განელავს“

იაგო ნაცვლიშვილი



კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომემ ხელი მოაწერა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის ტომოსს, რომელიც უკრაინის ეკლესიას უკვე გადაეცა.

რას ნიშნავს ეს უკრაინის ეკლესიისთვის, რა საპასუხო ნაბიჯებს უნდა ველოდოთ რუსეთის ეკლესიისგან და დაუჭერს თუ არა მხარს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას საქართველოს საპატრიარქო? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თეოლოგი **ლევან აბაშიძე** საუბრობს:

– ტომოსის მიღების შემდეგ რას იღებს უკრაინის ეკლესია?

– ამაზე არის დასტური მსოფლიო პატრიარქის მხრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ხდება კანონიერად დამოუკიდებელი ეკლესია.

– ვიცით, რომ ავტოკეფალიის გზაზე რა გზაც გამოიარა საქართველომ – ავტოკეფალიის მინიჭება, შემდეგ დაკარგვა, ბრძოლა ამისთვის და შემდეგ ისევ მიღება. საინტერესოა, უკრაინის ეკლესიამ რა გზა გამოიარა?

– ჩვენი ეკლესიის გზა არ არის იმდენად ცნობილი მკითხველისთვის. საქმე ისაა, რომ როცა ვამბობთ, რომ გვქონდა ავტოკეფალია, ისტორიკოსები სხვადასხვა თარიღებს ასახელებენ, ზოგი ისტორიკოსი მე-11 საუკუნეს ასახელებს, ზოგი მეხუთე საუკუნეს. 70-იან წლებიდან მოყოლებული მსოფლიო პატრიარქი შეეცადა კავშირები დაემყარებინა ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან და ყველა სადავო საკითხის წესრიგში მოყვანას.

საქართველოს ეკლესიასთან მიმართებით მან თქვა, რომ შესაძლოა თქვენ გაქვთ ავტოკეფალია, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცითო. ანუ მან „აღმოაჩინა“, რომ არსებობს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია – ავტოკეფალური ეკლესია. ჩვენი ავტოკეფალია რუსეთმა დაადასტურა 1943 წელს, როდესაც შერიგება მოხდა რუსეთსა და საქართველოს ეკლესიას შორის. ამჯერად მსოფლიო საპატრიარქომ შემოგვთავაზა ეს ავტოკეფალია ოფიციალურად მოენიჭებინა, მაგრამ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ ამგვარი აქციის. როგორ მოგვანიჭებთ იმას, რაც ჩვენ უკვე გვაქვსო. კამათი და საკმაოდ მძიმე მოლაპარაკებები 10 წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. მსოფლიოს საპატრიარქო დათანხმდა იმას, რომ მათ კი არ მოგვანიჭეს, არამედ აღიარეს, რომ ჩვენი ეკლესია იყო უძველესი ავტოკეფალური ეკლესია.

– უკრაინას რაც შეეხება, მან რა გზა გამოიარა ამ თვალსაზრისით?

– რაც შეეხება უკრაინას, მისი საკითხი საკმაოდ რთულია. არსებობდა კიევის მიტროპოლია, რომელიც აერთიანებდა კიევის რუსეთის მიწებს, და რომელიც ექვემდებარებოდა მსოფლიო პატრიარქს. შემდეგ, როცა ერთი მხრივ გაძლიერდა მოსკოვის სამთავრო, ხოლო კონსტანტინოპოლი დასუსტდა (გარკვეულ პერიოდში კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილმა კიევის მოტროპოლიტებმა მოსკოვშიც კი დაიდეს ბინა), შემდგომში რუსეთის ეკლესიამ, პოლიტიკური ძალის გამოყენებით მიაღწია იმას, რომ მიიღო ავტოკეფალია კონსტანტინოპოლისგან. შემდგომში, მე-17 საუკუნის ბოლოსთვის, მოსკოვმა უკვე კიევის მიტროპოლიაც ჩაიგდო ხელში, იმიტომ, რომ პოლიტიკურად რუსეთი უკვე აკონტროლებდა უკრაინის გარკვეულ ნაწილს. ეს პროცესი ასე ვითარდებოდა. ანუ, როგორც ასეთი, უკრაინის დამოუკიდებელი ეკლესია არასდროს ყოფილა, იყო კიევის მიტროპოლია ცენტრით კიევში, რომელიც ექვემდებარებოდა ჯერ კონსტანტინოპოლს, ხოლო შემდგომში მოსკოვს, როგორც მოსკოვის საპატრიარქოს ნაწილი.

რასაკვირველია, როცა უკრაინელებს ეძლეოდათ ამის საშუალება, ისინი ცდილობდნენ მიეღოთ საეკლესიო დამოუკიდებლობა. მაგალითად, სამოქალაქო ომის დროს იყო ასეთი მცდელობა და შემდეგ, გერმანიის ოკუპაციის დროს. უკრაინის გარკვეული ნაწილი პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პოლონეთის საზღვრებში შედიოდა და იქ არსებობდა რუსეთისგან დამოუკიდებელი ეკლესია. 90-იან წლებში უკრაინის ტერიტორიაზე გაჩნდა თვითგამოცხადებული უკრაინული ეკლესიები: კიევის საპატრიარქო და სხვა.

დღეისათვის ეს ეკლესიები, რომლებიც ითვლებოდნენ განხეთქილებაში მყოფ და არაკანონიკურ ეკლესიებად (კერძოდ, კიევის მიტროპოლია და უკრაინის ე. წ. ავტოკეფალური ეკლესია) გაერთიანდნენ და ამ გაერთიანებულ ეკლესიას მსოფლიო პატრიარქმა მიანიჭა კანონიკური სტატუსი, აღუდგინა რა ეპისკოპოსებს ეპისკოპოსის სტატუსი და აღადგინა კიევის მიტროპოლია. როცა მსოფლიო პატრიარქმა მოაწერა ხელი ტომოსს (ოფიციალურ წერილს), ამ ეკლესიამ დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის სტატუსი შეიძინა. თუმცა ამ ტომოსში ბევრი კითხვის ნიშანია.

– რა კითხვის ნიშნებია?

– ბევრი ელოდებოდა, რომ პატრიარქობასაც მისცემდა, მაგრამ იქ ეს არ წერია. ამ ეკლესიას მეთაურ საპატრიარქოს სტატუსი არ ექნება.

– წინამძღოლი ვინ იქნება უკრაინის ეკლესიის?

– ეპიფანე იქნება, რომელიც აირჩია საერთო კრებამ. ის იქნება ამ ეკლესიის წინამძღოლი. მე მგონი, მისი სტატუსი იქნება: უნეტარესი ეპიფანე მიტროპოლიტი კიევისა და სრულიად უკრაინისა.

– ანუ ამაზე კიდევ სამუშაოა?

– ალბათ კიდევ საბრძოლველია ცალკე. პირობებია ისეთი, რომ იგრძნობა, ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს. მაგალითად, უკრაინული ეკლესიების საზღვარგარეთ არსებული ეპარქიები გადადის მსოფლიო საპატრიარქოს უშუალო დაქვემდებარებაში და მას არ აქვს ამგვარი საეპისკოპოსოების დაარსება მომავალში..

– ანექსირებულ ტერიტორიებზე არსებულ ტაძრებს რაც შეეხება, მათ რა ბედი ელოდება?

– კანონიკურად მითითებულია, რომ უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქცია მთელი უკრაინის ტერიტორიაზე ვრცელდება, ანუ პოლიტიკურად რაც ითვლება უკრაინის ტერიტორიად, ცხადია, ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით, მაგრამ სავარაუდოდ რუსები არ დაუშვებენ ამ ეკლესიის ფუნქციონირებას ამ ტერიტორიებზე.

– ამას გარდა, კიდევ რა ნაბიჯებს უნდა ველოდოთ რუსეთის მხრიდან?

– არ ვიცი. რუსეთი ძალიან დიდ კონფლიქტში შევიდა. ცხადია, რომ ახლა უკრაინის ტერიტორიაზე იქნება ორი დიდი ეკლესია. ერთი, ეს არის აღნიშნული ახლად დაარსებული ეკლესია, ხოლო მეორე – უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (მოსკოვის საპატრიარქო). ახლა თვითონ ხალხის გადასაწყვეტია, რომელი ეკლესიისკენ იქნება მეტი მრევლი და საით გადაიხრებიან. სამწუხაროდ, ამ ყველაფერმა ბრძოლის სახე მიიღო.

რუსეთის ეკლესია საკმაოდ უკომპრომისოა და მათ შორის თავის მრევლსა და წევრებს უკრაინაში უკრძალავს არა თუ უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიაში ზიარებას, არამედ მსოფლიოს საპატრიარქოს ეკლესიებში ზიარებასაც კი. ეს მკვეთრი ნაბიჯია. მსოფლიო საპატრიარქო კი არავის არაფერს არ უკრძალავს და არავის აცხადებს უკანონოდ. რუსეთის ეკლესია ბრძოლას გააგრძელებს.

– საქართველოს ეკლესია არ ჩქარობს თავისი პოზიციის გამოხატვას. როგორ ფიქრობთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ან რა უნდა მიიღოს?

– რა უნდა მიიღოს, ამაზე საქართველოს საპატრიარქოს რჩევებს ვერ მივცემ, მაგრამ ჩემი აზრით, არა მარტო საქართველოს საპატრიარქო, არამედ ნებისმიერი მართლმადიდებლური ეკლესია დადგა ამ არჩევანის წინაშე – ვისი მხარე დაიკავოს. მოსკოვის საპატრიარქო ყველას მოუწოდებს, რომ არ აღიაროს, მისი აზრით, უკანონო ეკლესია, ხოლო მსოფლიო საპატრიარქო ყველას მოუწოდებს, რომ აღიაროს. ამიტომ, საქართველოს ეკლესია რთულ მდგომარეობაშია და, ცხადია, არც ერთთან არ უნდა ურთიერთობის გაფუჭება. ორივეს დიდი გავლენა აქვს საქართველოზე. ამიტომ, ჩემი ვარაუდია, რომ საქართველოს ეკლესია მაქსიმალურად დააყოვნებს ამ გადაწყვეტილების მიღებას და ავტოკეფალური ეკლესიების პირველ რიგებში არ იქნება უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის აღიარების პროცესში.

– ანუ გაწელავენ?

– ალბათ გაწელავენ, იტყვიან უნდა შევისწავლოთ ტომოსი და ა. შ. შემდეგ შეხედავენ, სხვა ეკლესიები რას იზამენ. საბოლოო ჯამში, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ეს ეკლესია შედგება და ადრე თუ გვიან მას ყველა აღიარებს. ამაზე მეტყველებს ისტორია. როცა ბულგარეთის ეკლესიამ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, მსოფლიო საპატრიარქომ ის არ ცნო და გამოაცხადა უკანონოდ. მაგრამ გავიდა ხანი და იძულებული გახდა, ეცნო.

იგივე საქართველოს ეკლესიაშიც იყო. როდესაც 1917 წელს გამოაცხადეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ჩვენი ავტოკეფალია არავინ არ ცნო. ამას ჩვენი ისტორიკოსები ხშირად არ საუბრობენ, მაგრამ ფაქტია, ის არავინ არ ცნო. ბოლოს რუსეთის ეკლესიას სხვა გზა აღარ ჰქონდა. სტალინს სურდა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში რაღაცნაირად მოეწესრიგებინა მდგომარეობა და საბჭოთა კავშირში ყოფილიყო ერთი ეკლესია, რომელსაც გააკონტროლებდა. ერთი ეკლესია არ გამოდიოდა და მოხდა ორი დამოუკიდებელი ეკლესიის შერიგება და ურთიერთაღიარება. მას შემდეგ ყველა სხვა მართლმადიდებელმა ეკლესიამაც აღიარა საქართველოს ეკლესია. ანუ ეკლესიის ისტორიაში ხდება ხოლმე ასეთი რამე, როდესაც გავა წლები ან ათწლეულები, ან საუკუნეები, სანამ ამა თუ იმ ეკლესიას აღიარებენ...

უკრაინის ეკლესიას ადრე თუ გვიან აღიარებენ. მაგრამ ამჟამად, სამწუხაროდ, უკრაინის ამხელა ტერიტორიაზე, სადაც არის ათეულობით მილიონი მორწმუნე, პარალელურად არსებობს ორი მართლმადიდებელი კანონიკური ეკლესია. ასეთი რამე ჩვენ ადრე არ გვქონია. ტრადიციულად მართლმადიდებლურ ქვეყნებში ერთმანეთის ტერიტორიაზე არ შედიოდნენ და ორხელისუფლებიანობას არ უშვებდნენ. მაგალითად, იგივე საქართველოს ტერიტორიაზე იქნება ეს ქართულენოვანი თუ რუსულენოვანი მრევლი, ყველა ეს ეკლესია საქართველოს ეკლესიას ეკუთვნის. ასევე იყო უკრაინაშიც, კანონიკური და საყოველთაოდ აღიარებული ეკლესია იყო მხოლოდ „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია – მოსკოვის საპატრიარქო“. ახლა ეს მდგომარეობა შეიცვალა და რა შედეგები მოყვება ამას, ეს არავინ არ იცის.

აფხაზეთში საბავშვო ბაღებში ბავშვებს სამხედრო ფორმით სიარულს აიძულებენ

მარიამ მჭედლიშვილი

იმ დროს, როცა აფხაზეთის თითქმის მთელი საზოგადოება საგანგაშოდ მიიჩნევს ოკუპირებულ რესპუბლიკაში შექმნილ კრიმინოგენულ ვითარებას და ეკონომიკის მოშლას, ამის საწინააღმდეგო შეფასებებით გამოდის გალის გამგებელი.

გალის გამგებელმა თემურ ნადარაიამ დაახლოებით ერთი წლის წინ ხალხს თავი დაამახსოვრა არასამთავრობო ორგანიზაციებზე ნადირობით. მან, ფაქტობრივად, რეპრესიები მოუწყო იმ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებიც აწყობდნენ სპორტულ შეჯიბრებებს რაიონის ბავშვებისათვის.

მართალია, მაშინ არასამთავრობო სექტორის შეზღუდვის ინიციატივა ზევიდან მოდიოდა, მაგრამ ნადარაიამ ამ მხრივ უკიდურესობამდე გადაამეტა.

ახლა გალის გამგებელი აცხადებს, რომ მართალია, რაიონში უმუშევრობის მასშტაბი დიდია, მაგრამ ბევრია გაკეთებული ინვესტორების მოსაზიდად, რომლებიც საწარმოებს შექმნიან.

ნადარაია საოკუპაციო ზოლს საზღვარს უწოდებს და ამტკიცებს, რომ უკანასკნელ წლებში გალის რაიონი ყველაზე საშიში კრიმინალურ-ტერორისტულიდან გადაიქცა ყველაზე უსაფრთხო ადგილად:

– გალის რაიონი არავისში აღარ ასოცირდება ადამიანის გატაცებასთან, აფეთქებებთან და კრიმინალთან. ეს რუსი მესაზღვრეების დამსახურებაა. ისინი აფხაზ მესაზღვრეებთან და სხვა სამსახურებთან ერთად ეწევიან რთულ სამსახურს საზღვარზე.

აფხაზეთში დანგრეულ ინფრასტრუქტურაზე ჩივიან როგორც ადგილობრივები, ისე რუსეთის ჩინოსნები და დამსვენებლები. ნადარაია ამბობს, რომ გალის სოფლებში დაგებულია გზები და აღდგენილია გარე განათება.

წინა წლის შედეგების შეჯამებისას ნადარაიამ თავისი ტრაბახითა და რუსეთისადმი მლიქვნელობით აფხაზეთში ყველას გადააჭარბა.

წინსვლაზე რაიონში საუბრობს იმ რაიონის გამგებელი, რომლის ქართველი მოსახლეობა მოკლებულია თავისუფალი გადაადგილების, მშობლიურ ენაზე სწავლის უფლებას.

ამჟამინდელი დეფაქტო პრეზიდენტის ინიციატივით აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს აეკრძალათ აფხაზური პასპორტების აღება.

ბინადრობის მოწმობით შეუძლებელია ქონების დაკანონება, არჩევნებში მიღება და სხვა აუცილებელი მოქმედებები.

საქართველოს შერიგების მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა გარკვეული ხნის წინ წარმოადგინა იქაური ქართველი ბავშვების შევიწროების სხვა ფაქტები.

კერძოდ, საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს აიძულებენ კამუფლაჟიანი ფორმების ჩაცმას და ომის ამსახველი სურათების ხატვას.

სექტემბერში ოკუპირებულ აფხაზეთში იზეიმეს ქართველებზე „გამარჯვების“ 25-ე წლისთავი. ამ ღონისძიებების ფარგლებში ქართველი მოსწავლეები აიძულეს, გამოსულიყვნენ სამხედრო ფორმებში და გაეთამაშებინათ ომის სცენები. ამ სცენარში ისინი აფხაზები იყვნენ, რომლებიც ხოცავენ ქართველებს.

უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები არ შედიან აფხაზეთიდან გადმოსული აფხაზეთის მცხოვრებლების იმ კატეგორიაში, რომელთაც ენგურსგამოღმა უფასოდ მკურნალობენ და ოპერაციებს უკეთებენ.

ამაზე საქართველოს მთავრობაში ხმას არ იღებენ.

ამ ეტაპზე განწირულია როგორც შიდა ქართლის საოკუპაციო ზოლის ახლობლად მცხოვრები ხალხი, ისე აფხაზეთის ქართველობა.

როგორც ჩანს, სულ უფრო არაეფექტური ხდება ჟენევის მრავალმხრივი მოლაპარაკებები, ასევე – გალისა და ერგნეთის შეხვედრები.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ასეთი საკითხები არ აღელვებს.

„ოცნების“ დეპუტატი ბექა ოდიშარია თაბორის მთაზე 21-სართულიან სასტუმროს აშენებს

თაბორის მთას კიდევ ერთი მასშტაბური მშენებლობისთვის ამზადებენ. ბიძინა ივანიშვილის შემდეგ დედაქალაქის ერთ-ერთ მაღალ წერტილს სასტუმრო კომპლექსს „ქართული ოცნების“ წევრი, ბექა ოდიშარია, დააშენებს.

ძველ თბილისში ხარფუხის 3.284 კვადრატული მეტრი მიწა სამშენებლო მოედნად გადაიქცევა.

ესკიზებიდან, რომელიც თბილისის მერიაშია წარდგენილი, დგინდება, რომ სულ 10 კორპუსი აშენდება. 21-მეტრიანი სიმაღლის შენობების 6 მეტრი მიწის ქვეშ იქნება, 15 კი მიწის ზევით.

ბექა ოდიშარიას თაბორის მთაზე სასტუმროს აშენების სურვილი ჯერ კიდევ 2014 წელს ჰქონდა, თუმცა, მერიის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ოდიშარიას ამ პროექტის განხორციელებაზე უარი უთხრეს და გადაწყვეტილებაში ჩაწერეს, რომ საპროექტო ტერიტორია კულტურული მემკვიდრეობის ზონაში მდებარეობს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ 2017 წელს პროექტის ორი ესკიზი დაიწუნა.

პირველ შემთხვევაში კომისიის წევრებმა დაადგინეს, რომ ობიექტის პროექტირებისას გასათვალისწინებელი უნდა იყოს მისი მასშტაბი ძველ განაშენიანებასთან მიმართებაში, აუცილებელია, ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი იერსახის შენარჩუნება და ნაგებობის შერწყმა ლანდშაფტთან.

ბექა ოდიშარიამ საბჭოს მეორედ უკვე პროექტის ეს ვარიანტი შესთავაზა. კომისიის წევრები ისევ ამტკიცებდნენ, რომ ლანდშაფტურ გარემოში ასეთი ნაგებობის აშენება მიზანშეწონილი არ იყო.

.ბექა ოდიშარიასთვის ხელსაყრელი დრო 2017 წლის ბოლო აღმოჩნდა. ოდიშარიას კუთვნილ ტერიტორიას მუნიციპალიტეტმა საცხოვრებელი ზონის ე.წ. სზ 3-ის სტატუსი მისცა. 2018 წლის ივლისში კი კულტურული მემკვიდრეობის საბჭომ მართალია ბუნდოვანი, მაგრამ მაინც თანხმობა მისცა დეპუტატს.

ოპოზიცია ამბობს, რომ პარლამენტარმა დეპუტატის მანდატი და გავლენები საკუთარი ფინანსური კეთილდღეობისთვის ქალაქის რელიეფისა და იერსახის დამახინჯების ხარჯზე გამოიყენა.

პარლამენტის დეპუტატმა ბრალდებებს ტელეფონით უპასუხა.

ბექა ოდიშარია აცხადებს, რომ დეპუტატის მანდატი და გავლენები არ გამოუყენებია, პრივილეგიებით არ უსარგებლია და ყველა არსებული კანონი დაიცვა.

ქართული ოცნების დეპუტატი მშენებლობისთვის საბოლოო ნებართვას მერიიდან 9 იანვარს ელოდება. მას შემდეგ, რაც არქიტექტურის სამსახურში პროექტს გაეცნენ, ხარვეზები აღმოაჩინეს და ბექა ოდიშარიას ამ ხარვეზების გამოსასწორებლად ვადა მისცეს.

იმ შემთხვევაში, თუ კახა კალაძემ მის თანაგუნდელს სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისთვის მწვანე შუქი აუნთო, მაშინ ბუნებისდამცველებისა და ურბანისტების პროტესტი გარდაუვალია.

რუსთავი 2

მიხეილ ხიდურელი: „წელს გრანტების პროგრამა იქნება განსხვავებული“

10%-ით მეტი დაფინანსებული საწარმო; 55%-ით მეტი დაფინანსებული სასტუმრო; 975 ახალი მიკრო და მცირე მეწარმე-ბენეფიციარი; 30 მილიონ აშშ დოლარამდე ექსპორტის წახალისება; 56 მილიონი აშშ დოლარის მოზიდული ინვესტიცია – რადიო კომერსანტთან სააგენტოს აწარმოე საქართველოში დირექტორი მიხეილ ხიდურელი 2018 წელს განხორციელებული პროექტების შედეგებს აჯამებს.

2018 წელს აწარმოე საქართველო აქტიური იყო ყველა მიმართულებით. ჩვენ ვმუშაობთ ბიზნესის განვითარებაზე, ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობაზე, ექსპორტის წახალისებასა და ახალი ინვესტიციების მოზიდვაზე, ფილმის ინდუსტრია, რომელიც ასევე აღქმულია, როგორც ინვესტიციები და ბიზნესის განვითარება. სამივე მიმართულების ფარგლებში ბევრი ვიზიტი, ღონისძიება და ინიციატივა დაიგეგმა. ბიზნესის მიმართულებით ჩვენ გვაქვს სუბსიდირების პროგრამები, მნიშვნელოვანია, რომ ინდუსტრიული კომპონენტის 10%-იანი ზრდა გვაქვს 2017 წელთან შედარებით, რაც იმას ნიშნავს, რომ 2018 წელს 10%-ით მეტი საწარმო გაიხსნა. სასტუმროების მიმართულებით გვაქვს შთამბეჭდავი, 55%-იანი ზრდა, 31-მდე ახალი სასტუმრო გაიხსნა, რაც ჯამურად ათასამდე ახალ ოთახს ნიშნავს. მოხდება რამდენიმე მათგანის ოპერირება საერთაშორისო ბრენდით, ჩვენ ამის სტიმულირებას ვაძლევთ, ფრანჩაიზის და მენეჯმენტის გადასახადს ვფარავთ. ასევე 975 ახალი მიკრო და მცირე მეწარმე-ბენეფიციარი გვყავს, ეს არიან ის ადამიანები, რომლებიც ძალიან მალე რეგიონში საინტერესო ბიზნესებს ჩაუყრიან საფუძველს.

2019 წელსაც გვექნება გრანტების პროგრამა, ოღონდ ეს იქნება სახეცვლილი. ამ პროგრამებს სჭირდება მუდმივი გადახედვა, გაკვეთილებს სწავლა და შემდეგ ყველაფრის შეცვლა. ახალი წლიდან იგეგმება საგრანტო კომპონენტის ზრდა. 2018 წელს 30 მილიონ აშშ დოლარამდე ექსპორტი წახალისდა. ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, როგორი წარმატებული ვიზიტები გვქონდა, განსაკუთრებით გამოვყოფდი შანხაის. ჩინეთში 2019 წელს ვგეგმავთ, რომ გამოვყოთ სპეციალური დესკი, სადაც ჩვენი ექსპორტის გუნდის, რომელიმე წევრი უშუალოდ ჩინეთზე იმუშავებს. ასევე საინტერესოა ისიც, რომ ქალაქ ცინტაონში სრულიად უსასყიდლოდ ერთი გზა ერთი სარტყლის ორგანიზაციამ გადმოგვცა 500 კვ.კმ ბიზნეს ცენტრი, რომელიც განთავსებულია უმაღლესი დონის ცენტრში. პატარა სოფელივით არის, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ისხდებიან. ამ ცენტრში ჩვენი წარმომადგენლები იქნებიან და შეგვიძლია, რომ ქართული კომპანიების წარმომადგენლებიც ნავიყვანოთ და გამოიყენონ ეს სივრცე.

წლიდან წლამდე იზრდება ექსპორტში სერტიფიცირებული მენეჯერების რაოდენობა. გვაქვს კურსები უკვე ბათუმშიც. იგეგმება ექსპორტის კატეგორიზაციაც, უნდა ვიცოდეთ, რა კატეგორიის კომპანია გვყავს და უნდა გვქონდეს დაყოფილი ეს კატეგორიები, რადგან ყველა მათგანს განსხვავებული მოთხოვნა და საჭიროებები აქვს.

2019 წელს ვაორმაგებთ ინვესტიციების გუნდში ადამიანების რაოდენობას. წელს ჩვენი გუნდის მიერ მოხდა 56 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის მოზიდვა. ჩვენ ყველა წინაპირობა გვაქვს იმისა, რომ ვიყოთ მოწინავე. რეინვესტირებაც მნიშვნელოვანი საკითხია, ვაპირებთ გავაკეთოთ პლატფორმა, სადაც კვარტალში ერთხელ შევთავაზებთ ახალ შედეგებს. ამ მიმართულებით 100%-იან ზრდაში დიდი წვლილი ითამაშა ესტონურმა მოდელმა, ასევე იმან, რომ დიდი წვლილი ითამაშა ახალი საინტერესო სექტორებისა და ბიზნესების არსებობამ.

ფილმის კუთხით, ვფიქრობ, იდეალური დროა, რომ საქართველო დავსვათ კინოპროდიუსერების რუკაზე. შევხვდით ყველაზე წარმატებულ და მსხვილ სტუდიებს: Disney, Paramount Pictures, Universal Pictures; Hbo-ს. ჩინური და ინდური ფილმების მიმართულება ორგანულად ვითარდება, ეს არის დიდი ინვესტიციები, აქტიურად მიმდინარეობს ურთიერთობა ინდურ და ევროპულ კინო პროდიუსერებთან. ამ მიმართულებით, ვფიქრობ, რომ საქართველო ნამდვილად გახდება ფილმის ქვეყანა და ეს იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან დიდი სტიმული, – ამბობს მიხეილ ხიდურელი.

6 თვეში რაჭა-ლეჩხუმში 19 მიტოვებული სახლი გაიყიდა – ყველაზე იაფი 1.500, ყველაზე ძვირი 8.000 ლარი ღირდა

„დაკარგული სამოთხე“ – ეს ის სოციალური კამპანიაა, რომლის ავტორი ლექსო ჩარკვიანი სოფლებში მიტოვებულ სახლებს ეძებს და მათ „გაცოცხლებას“ ამავე სახელწოდების Facebook-ის გვერდის საშუალებით ცდილობს. კერძოდ, სახლებთან დაკავშირებით საკონტაქტო ინფორმაციას საჯარო რეესტრი აგროვებს. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრეს სახლის გაყიდვის სურვილი აღმოაჩნდება, ფოტოებს სოციალურ ქსელში ტვირთავს, დანარჩენს კი მეპატრონე და მყიდველი თავად აგვარებენ.

თუმცა, როგორც იდეის ავტორი „ბიზნეს-პრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, აღმოჩნდა, რომ სახლების შესახებ ინფორმაციას ე.წ მაკლერები „უსაფრდებიან“ და ფინანსური სარგებლის ნახვის მიზნით თავად უკავშირდებიან მეპატრონეებს – „ამას უკვე ვეღარ გავაკონტროლებ, რადგან მე მხოლოდ ინფორმაციის გამავრცელებელი ვარ. უბრალოდ, ცოტა უხერხული მგონია, როდესაც სახლი ისედაც ძალიან დაბალ ფასად, მაგალითად, 2000 ლარად იყიდება და აქედან ვიღაცას საკუთარი ფინანსური საგებლის მიღება სურს“ – აღნიშნავს ლექსო ჩარკვიანი.

კამპანიის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ერთ-ერთ სოფელში სტუმრობისას ლექსო ჩარკვიანს თვალწინ მიტოვებული სახლი ჩამოეშალა.

– სათაფლიაში ჩემი სახლისთვის მინდოდა ბეღელის შეძენა და როდესაც გამყიდველს ვესაუბრებოდი, გვერდით სახლი წაიქცა. იდეაც სწორედ აქედან გამიჩნდა. ყველას ჰგონია, რომ ფინანსური ინტერესი მაქვს, მაგრამ ჩემი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ გამოცოცხლდეს აქაურობა. ქუთაისიდან ცაგერამდე მანქანით რომ მიდიხარ, გზაზე აღარავინ შეგხვდება, წყლის მომწოდებელიც კი აღარ არის. ეს არის საშინელება, – ამბობს ლექსო ჩარკვიანი.

აღსანიშნავია, რომ გაყიდულ 19 სახლს შორის ყველაზე იაფი – 1,500, ხოლო ყველაზე ძვირი – 8.000 ლარი ღირდა.

– იმის გათვალისწინებით, რომ ახალი წლის პერიოდია, სახლებთან დაკავშირებით ჯერჯერობით ვერავის ვაწუხებ. როგორც ეს დღეები დასრულდება, ისევ ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელებ კამპანიას. ამ ეტაპისთვის უკვე 19 სახლია გაყიდული. კამპანიის დაწყებიდან მალევე 12 სახლი გაიყიდა, ბოლო თვეებში კი 7, საიდანაც ყველაზე იაფი 5.000 ლარიანი იყო, ხოლო ყველაზე ძვირი – 10.000 ლარიანი. თუმცა, როგორც ვიცი, მოლაპარაკება მოხდა მეპატრონესთან და 8.000-ში მისცა, – აცხადებს ლექსო ჩარკვიანი.

როგორც იდეის ავტორი აცხადებს, სახლებს ქართველები ძირითადად საზაფხულო დასასვენებელი ადგილის დანიშნულებით ყიდულობენ.

ბექან წაქაძე: „2018 წელი ჩვენი ბიზნესისთვის და, საერთოდ, სამშენებლო ბიზნესსექტორისთვის რთული იყო“

– 2018 წელი ჩვენი ბიზნესისთვის და, საერთოდ, სამშენებლო ბიზნესსექტორისთვის რთული იყო. ამის მიზეზი ის რეგულაციები იყო, რომლებიც იქნა მიღებული, თუმცა მიუხედავად ამისა, სრულიად საქართველოში სამშენებლო სექტორში 20%-იანი ზრდაა დაფიქსირებული, – რადიო კომერსანტთან აჯამებს გასულ წელს GDG – პლიუსის დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე.

მისი თქმით, სამშენებლო სექტორში არსებული რეგულაციები საჭირო და დროული იყო.

– რეგულაციები მკაცრია, თუმცა სამართლიანი და საჭირო. მშენებლობა რთული და შრომატევადი, ასევე საშიში სფერო და პროფესიაა, შესაბამისად, ამ რეგულაციებით შეძლებისდაგვარად უნდა შემცირდეს ის ტრავმები და მომხდარი ავარიები, რომლებიც ხდებოდა და ხდება ამ სფეროში.

რაც შეეხება ჩვენს კომპანიას, გასული წელი არცთუ ისე ცუდი იყო, 2 პროექტი დავასრულეთ და 4 ახალი პროექტი დავიწყეთ. ერთი მათგანი უკვე დამთავრების სტადიაშია. ერთი მათგანი დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, კერძოდ ვანში, 40-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობას ეხება. ასევე გვაქვს პროექტი აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, თუმცა გარკვეულწილად გაჭიანურდა. ვფიქრობ, იანვარ-თებერვალში სამშენებლო ნებართვა უკვე გვექნება. ადგილი გვაქვს შესყიდული ასევე ავლაბარში, საცხოვრებელი მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობისთვის, – განაცხადა ბეჟან წაქაძემ.

მისი თქმით, სამშენებლო სექტორისთვის 2018 წლის მთავარი გამოწვევა ბიუროკრატიული სირთულეები და ლარის კურსის მერყეობა იყო.

– ყველაზე მეტად ბიზნესს ლარის მერყეობა აფერხებს. თუმცა ახლა დასტაბილურდა ლარი და ვფიქრობ, არავითარი წინაპირობა არ არის ქვეყანაში იმისა, რომ ლარმა რაიმე სერიოზული ცვლილება განიცადოს. მაგრამ თუ მოხდება, ეს ძალიან ავნებს ბიზნესს და, პირველ რიგში, სამშენებლო სექტორს.

მეორე პრობლემა ეხება ბიუროკრატიულ სირთულეებს, ეს განსაკუთრებით ეხება რეგიონებში მშენებლობებს. მაგალითად, გაცილებით უფრო ადრე დავიწყე ქუთაისში პროექტი, ვიდრე თბილისის სამი პროექტი, თუმცა ქუთაისის პროექტზე ჯერაც არ მაქვს ნებართვა. თუ გვინდა, რომ რეგიონები განვავითაროთ, აუცილებელია, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს.

ახალი წელი ერთ-ერთი განსაკუთრებული და გამორჩეული საერო დღესასწაულია. ახალ წელს ათვლა იწყება, რაც იყო ცუდი და არასასურველი, დავტოვოთ გასულ წელს და ახალი წელი დავიწყოთ ახლის იმედით და კარგის მოლოდინით, – ამბობს ბეჟან წაქაძე.

ექიმის ცემაში ბრალდებული მსახიობი დაკავებულია

ექიმის ცემის ბრალდებით სამართალდამცავებმა ერთი პირი დააკავეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მოსამართლის განჩინების საფუძველზე რეზი ნასიძე დაკავებულია.

ნასიძეს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საავადმყოფოში ექიმისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას ედავებიან. როგორც ცნობილია, დაზარალებულს სერიოზული დაზიანებები აღენიშნება, მათ შორის ტვინის შერყევაც.

თავად ნასიძეც კლინიკაში რჩება და ვირუსულ ინფექციას მკურნალობს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო.

თბილისში 41 წლის ქალი ღორის გრიპით დაიღუპა

თბილისში 41 წლის ქალის გარდაცვალების მიზეზი სავარაუდოდ ე.წ ღორის გრიპი გახდა. პაციენტმა სამკურნალო დაწესებულებას H1N1-ის ტიპის ვირუსის სიმპტომებით მიაკითხა თუმცა ორკვირიანი მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა. გარდაცვალების ფაქტი წმ. ლაზარეს კლინიკაში დაფიქსირდა.

სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პაციენტს კლინიკაში მისვლისას უკვე გართულებული ფილტვების ანთება ჰქონდა, ამასთან უნივერსალური სიმსუქნის ფონზე ჩამოყალიბდა თირკმლების და გულის უკმარისობაც:

– მდგომარეობა მაშინ უკვე იყო რთული, როცა გავაკეთეთ რენტგენოლოგიური კვლევა ფილტვების ორმხრივი. იყო ფაქტიურად უკვე კარგად გავრცელებული პნევმონია ორივე ფილტვის ველებში. დაახლოებით 24 საათში ქალბატონი ნესმიწვერიძე გადავიდა მართვით სუნთქვაზე. ყველაფერთან ერთად მას ჰქონდა უნივერსალური სიმსუქნე, რამაც შემდგომში განაპირობა მისი თირკმლის უკმარისობის ჩამოყალიბება. გულის უკმარისობის პირველი ხარისხიც დაფიქსირდა ჩვენთან კლინიკაში. სამწუხაროდ, ღამის სამ საათზე ქალბატონი დაიღუპა, – განაცხადა წმ. ლაზარეს კლინიკის კლინიკურმა მენეჯერმა ნანა კვანტალიანმა.

მეუფე გრიგოლი: „დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე „დამოკლეს მახვილივითაა“ ეკლესიის თავზე“

დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე „დამოკლეს მახვილივითაა“ ეკლესიის თავზე, – ამის შესახებ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მეუფე გრიგოლის საშობაო მიმართვაშია ნათქვამი.

მისივე განცხადებით, ეკლესიაში ე.წ. კრიზისის გარკვეული ნიშნებია.

– ჩვენ კვლავ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ ეკლესიაში ვხედავთ ე.წ. კრიზისის გარკვეულ ნიშნებს, რომელთა შორისაა, თუნდაც დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე, ტრაგიკული ამბავი, რომელიც „დამოკლეს მახვილივითაა“ ეკლესიის თავზე. საერთო ფონს, სამწუხაროდ, ამძაფრებს დაძაბული ურთიერთობები სასულიერო პირთა შორის, რაც მრევლის პოლარიზებას იწვევს; ეს მდგომარეობა მძაფრად წარმოჩინდება სოციალურ ქსელებზე დაკვირვებისას, ხოლო დროდადრო კი დაპირისპირებები თავს იჩენს ხოლმე საჯარო სივრცეშიც. არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი მაგალითების სპექტრი მომავალში კიდევ უფრო „მრავალფეროვანი“ გახდეს! ყოველივე ამის მიზეზებს კი ჩვენ ვხედავთ არა რომელიმე პიროვნების პირად, კერძო, ვიწრო პარტიკულარულ ინტერესებში, არამედ იმაში, რომ ჩვენ დღემდე ვერ შევძელით ერთიანი საკომუნიკაციო სივრცის შექმნა საერთო ღირებულებების ირგვლივ! – ნათქვამია მეუფე გრიგოლის საშობაო მიმართვაში.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შევქმენით ერთმანეთთან კომუნიკაციის იმგვარი საშუალებები, რაც თავიდან აგვაცილებდა ბევრ ისეთ პრობლემას, რომლებიც კომუნიკაციის არარსებობის შედეგად ჩნდება.

– ჩვენ გვჭირდება ერთმანეთის მოსმენა, გამოთქმული აზრების ზუსტად გაგება და საღი აზრის პატივისცემა. საერთო ენის გარეშე ვერ შევძლებთ ერთმანეთის გაგებას, ვერც საერთო სარწმუნოებრივ და სახელმწიფოებრივ ღირებულებებზე შევთანხმდებით და ვერც ჩვენს წინაშე არსებული პრობლემებს გადავჭრით. ასევე, ვფიქრობთ, რომ სინოდთან არსებული დარგობრივი კომისიების გააქტიურება ხელს შეუწყობს საერთო მდგომარეობის გაჯანსაღებას და შესაძლებელს გახდის ერთიანი ხედვის შემუშავებას თანამედროვეობის იმ აქტუალური პრობლემების თაობაზე, რომელიც ეკლესიის წინაშე დგას. თუკი ეს მოხდა, მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ამ მეტად რთულსა და ეკლიან გზაზე! – ნათქვამია მეუფეს საშობაო გზავნილში.

ბესელია: „ოცნება“ ხელისუფლებაში არ იქნება იმდენი დროით, რამდენი ხნითაც ამ მოსამართლეებს ვირჩევთ“

იურიდიული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე კობახიძის იმ განცხადებებს ეხმაურება, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ ბესელიას კომიტეტიდან წასვლა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გადაწყდა, რადგან დეპუტატი ვიცე-სპიკერად უნდა დანიშნულიყო და მოსამართლეების თემა არაფერ შუაშია:

– მშვიდობაში თანამდებობები და კაბინეტები, დამითმია მათთვის, ვინც ამ მიზნით მოვიდა პოლიტიკაში თუ ხელისუფლებაში. ჩემთვის წყალგამყოფი არის თემა, რომლიც უკავშირდება ჩვენი შვილების ხვალინდელ მომავალს. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში არ იქნება იმდენი დროით, რამდენი ხნითაც ჩვენ ამ მოსამართლეებს ვირჩევთ და ვის ხელში იქნება ჩვენი შვილების მომავალი, ეს არის დამოკიდებული ამ პროცესზე, – განაცხადა ეკა ბესელიამ „ტვ პირველთან“ საუბრის დროს.

ეკა ბესელიას თქმით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არსებულ სიასთან დაკავშირებით მას აზრს ვერავინ შეაცვლევინებს. ამის შესახებ განცხადება ბესელიამ „ტვ პირველის“ ეთერში გააკეთა. ჟურნალისტის დაზუსტებაზე, შეიცვლიდა თუ არა ეკა ბესელია აზრს, თუ საქმეში პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი ჩაერეოდა ეკა ბესელიამ დააკონკრეტა, რომ მას აზრს ვერავინ შეაცვლევინებს:

– არ არსებობს ადამიანი დედამიწაზე, ამ სიასთან დაკავშირებით ვერავინ შემაცვლევინებს ხედვას, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

სისხლიანი გარჩევა თიანეთში – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თიანეთში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთს პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობის, ასევე 2 ან მეტი პირის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1986 წელს დაბადებული დ.პ. თბილისში დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.?

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 3 იანვარს, დაბა თიანეთში შურისძიების მოტივით, 1990 წელს დაბადებული ვ.ა.-ს და 1961 წელს დაბადებული ო.შ.-ს მათივე საცხოვრებელი სახლის ეზოში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა, ხოლო 1986 წელს დაბადებულ ნ.ა-ს, განზრახ მკვლელობის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღით სხეულის დაზიანება მიაყენა. ნ.ა. კლინიკაში განაგრძობს მკურნალობას.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობასა და 2 ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109– მუხლის პირველი ნაწილის „ გ“ ქვეპუნქტით და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გაზის ნამწვით რუსთავში სამი ადამიანი მოიწამლა

რუსთავში, მეგობრობის გამზირზე ბუნებრივი აირის ნამწვით სამი ადამიანი მოიწამლა, მათ შორის მცირეწლოვანი, 5 წლის ბავშვიც. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადები. მოწამლულები საავადმყოფოებში გადაიყვანეს, გავრცელებული ინფორმაციით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

წინასწარი ინფორმაციით, ბინაში ნამწვის დაგროვების მიზეზი ტექნიკური ნორმების დარღვევით დამონტაჟებული გამათბობელი გახდა.

ღვინის აღმართზე პოლიციის ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა

ავლაბარში, ღვინის აღმართზე პოლიციის ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

საპატრულო პოლიციის მანქანას ცეცხლი სავარაუდოდ, ელექტროგაყვანილობიდან გაუჩნდა. ფაქტზე შსს-მ გამოძიება 187-ე მუხლით დაიწყო.

თავდასხმა სკოლის მოსწავლეებზე ახალციხეში – ერთ მოზარდს ორივე ხელი აქვს მოტეხილი, მეორეს კი – ყბის ძვალი

2 იანვარს ახალციხეში არასრულწლოვნებს თავს დაესხნენ. ინციდენტი ჯერ ქეთევან წამებულის, შემდეგ კი დიდიმამიშვილის ქუჩაზე მოხდა. ახალციხის საჯარო სკოლის მოსწავლეები ახალი წლის ღამეს ერთ-ერთი თანაკლასელის სახლში აღნიშნავდნენ, როდესაც 16 წლის მოზარდებმა კლასელის სახლი დატოვეს და ქუჩაში გამოვიდნენ, მათ თავს ოცდაათამდე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი დაესხა. ზრდასრულმა მამაკაცებმა ბავშვებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, მასპინძელს ორივე ხელი მოტეხეს, ხოლო გაქცეულ მოსწავლეებს დაედევნენ და მათ მოპირდაპირე დიდიმამიშვილის ქუჩაზე ფიზიკურად გაუსწორდნენ. მძიმე დაზიანებები სამმა მოსწავლემ მიიღო.

ბიჭი, რომელსაც ორივე ხელი აქვს მოტეხილი, ამ დრომდე მკურნალობს, ერთი დაშავებული, რომელსაც ყბის ძვალი აქვს მოტეხილი საავადმყოფოში რჩება, ერთი მოსწავლე კი საავადმყოფოდან გუშინ გამოწერეს.

მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით ახალციხის რაიონულმა სამმართველომ სსკ-ის 126-ე მუხლის ბ და გ პუნქტებით დაიწყო, რაც ჯგუფურად ძალადობას გულისხმობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ჯონ ბოლტონი: „აშშ ქურთებს არ მიატოვებს!“



პრეზიდენტ ტრამპის მრჩეველი ჯონ ბოლტონი ისრაელში ჩავიდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ აშშ თავის მოკავშირე ქურთებს არ მიატოვებს.

– სირიიდან საბოლოოდ მხოლოდ მას შემდეგ წავალთ, როცა ქურთების უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება, – განაცხადა ბოლტონმა.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონი ქურთების წინააღმდეგ არავითარ თვითნებობას არ დაუშვებს.

– თურქეთის ყველა ოპერაცია, რომელიც ქურთების წინააღმდეგ იქნება მიმართული, ჩვენთან უნდა იყოს შეთანხმებული, – ამბობს ბოლტონი.

შედგება თუ არა აშშ-ისა და მოძრაობა თალიბანის მოლაპარაკებები?!



როგორც ცნობილია, აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი ავღანეთში თავისი კონტინგენტის შემცირებას აპირებს. სადღეისოდ ავღანეთში 14.000 ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება.

თავის მხრივ, მოძრაობა „თალიბანმა“ გამოთქვა სურვილი, რომ აშშ-სთან ოფიციალური მოლაპარაკებები დაიწყოს. თალიბები ავღანეთის ოფიციალურ მთავრობასთან დიალოგზე კატეგორიულ უარს აცხადებენ.

– ჩვენ ლაპარაკი მხოლოდ ამერიკელებთან გვსურს, – ამბობენ ისინი.

რუსები პოლ უილანის გაცვლაზე უარს აცხადებენ

როგორც ცნობილია, რუსეთში აშშ-ის მოქალაქე პოლ უილანი დაკავეს. ის იქ მეგობრის ქორწილში ჩავიდა. ფსბ-მ უილანი დააპატიმრა და ჯაშუშობაში დასდო ბრალი.

– რუსებს სურთ, უილანი ამერიკაში დაკავებულ მარია ბუტინაზე გაიცვალოს, – იტყობინება ტსნ-ი.

ამის შემდეგ ამერიკელებმა თავიანთ ქვეყანაში ჩასული კიდევ ერთი რუსი მოქალაქე მაკარენკო დააპატიმრეს. აშშ-ის წარმომადგენელმა მოსკოვს შესთავაზა მისი გაცვლა დაკავებულ უილანში. მოსკოვმა ამაზე უარი განაცხადა.

– უილანს ბრალი კონკრეტულ დანაშაულში ედება. ეს უნდა დამტკიცდეს, სასამართლომაც მსჯავრი გამოიტანოს. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი რაიმე გაცვლაზე საუბარი, – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

დონბასი: უკრაინელებმა რუსებს შობა მიულოცეს

დონბასში შეტაკებები შობაზეც გრძელდებოდა. რუსმა ოკუპანტებმა სამშვიდობო შეთანხმება კვლავ დაარღვიეს და უკრაინელებს ცეცხლი გაუხსენეს.

– ჩვენი ბიჭები იძულებულნი გახდნენ, საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ, – იტყობინება „ცენზორ ნეტი“.

უკრაინელი ჯარისკაცებისაგან არავინ დაზარალებულა. დაიღუპა 1 ოკუპანტი, დაიჭრა 3.

– ჩვენებმა რუსებს შობა მიულოცეს, – განაცხადა უკრაინელთა სარდალმა, გენერალმა ნაევმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსეთი-აშშ: კონფრონტაცია გარდაუვალია?!

(როგორი იქნება 2019 წელს მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობები)

ამერიკის პრეზიდენტ ტრამპს თავისი პოლიტიკური ხედვა გააჩნია. მან ეს თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ნათლად ჩამოაყალიბა. ტრამპის მიზანი ამერიკული სამრეწველო კაპიტალის გაძლიერება და საბანკო კაპიტალის შეზღუდვაა. ის აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებას არ აპირებს, ამიტომაც სირიიდან ჯარის გაყვანა დაიწყო.



– ეს გარკვეული სიგნალია კრემლისათვის. ცხადი ხდება, რომ ტრამპისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ან ირანის გავლენა გაძლიერდება თუ არა. მას სხვა გეგმები აქვს, – წერს ამერიკელი ექსპერტი ბერმანი.

ასეთმა პოზიციამ შესაძლოა პუტინი ახალ ავანტიურებზე წააქეზოს. ტრამპისგან განსხვავებით, პუტინს არ შეუძლია ეკონომიკაში წარმატებებით დაიკვეხოს. მას რუსი ობივატელისათვის მხოლოდ დერჟავის აღდგენის შეთავაზება შეუძლია. დერჟავის აღორძინებას კი ხელს უშლის უკრაინა, რომელმაც ევრაზიულ კავშირზე უარი განაცხადა და ევროკავშირისა და ნატოსაკენ აიღო გეზი. უკრაინამ გმირებად შერაცხა სტეპან ბანდერა, რომან შუხევიჩი, სიმონ პეტლიურა, ანუ გამოიკვეთა, როგორც რუსეთის გეო-პოლიტიკური მოწინააღმდეგე.

– პუტინი შეეცდება უკრაინა დაიმორჩილოს ან დაშალოს. ორივე მიზნის მიღწევა ძალის გამოყენების გარეშე შეუძლებელია, – წერს ბერმანი.

ექსპერტი განვლილ 2018 წელს დაწვრილებით აანალიზებს. აშშ-მ რუსეთის მიმართ სანქციები გაამკაცრა, მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, როცა კონგრესსა და სენატში რუსეთის აგრესიის გამო აჟიოტაჟი ატყდა.

– 2019 წელსაც ასე იქნება! ტრამპი რუსეთის მიმართ არავითარ წინმსწრებ ნაბიჯს არ გადადგამს, – მიიჩნევს ექსპერტი.

ბერმანი თვლის, რომ აშშ-ის პრეზიდენტის პასიურობამ შესაძლოა პუტინს ახალი სამხედრო ავანტიურების ცთუნება გაუჩინოს. აზოვის ზღვაზეც მორიგი პროვოკაციებია მოსალოდნელი. არ არის გამორიცხული, პროვოკაციები შავ ზღვაზეც, როცა რუსეთი ოდესის, ხერსონის და ნიკოლაევის პორტების ბლოკირებას შეეცდება. ამას აშშ-ის კონგრესში აჟიოტაჟი მოჰყვება. ტრამპიც იძულებული გახდება, რუსეთის მიმართ ახალ სანქციებს მოაწეროს ხელი. მეტიც, აშშ-ის პრეზიდენტი დათანხმდება უკრაინისათვის სამხედრო დახმარების გაზრდას. კიევს გემთსაწინააღმდეგო რაკეტებსაც მოაწვდიან.

– ამ რაკეტებს უკრაინელები რუსეთის სამხედრო ხომალდებს დაუშენენ. რუსული გემები აფეთქდება, რუსი მეზღვაურები დაიღუპებიან. წარმომიდგენია, როგორ გააფთრდება პუტინი! რუსეთ-აშშ-ს შორისაც კონფრონტაცია გარდაუვალია, – წერს ბერმანი.

ახლა ყველაფერი პუტინზეა დამოკიდებული. ტრამპი გამწვავებაზე პირველი არ წავა. თუ ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი თამაშის წესებს დაიცავს და სამხედრო ავანტიურებზე უარს იტყვის, მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობებიც არ გამწვავდება.

სროლა კალიფორნიაში

ქალაქ ტორენში (შტატი კალიფორნია) ტრაგედია მოხდა. ადგილობრივ ბოულინგ–კლუბში ჩხუბი ატყდა. ამ დროს ერთ-ერთმა მოჩხუბარმა რევოლვერი იძრო და ცეცხლი გახსნა. შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, ოთხი დაიჭრა.

მოჩხუბარმა გაქცევა შეძლო. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

ბელორუსის პრორუსული ძალები შეშფოთებულები არიან

ბელორუსის მემარცხენე პრორუსული ძალები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ გარკვეული მოღვაწეების მიერ რუსეთ-ბელორუსის გაერთიანების გარშემო აჟიოტაჟი ატყდა. პუტინისა და ლუკაშენკოს სახელზე გაგზავნილ მიმართვაში ისინი წერენ, რომ რუსეთ-ბელორუსის გაერთიანება თურმე ლოგიკური პროცესია, მაგრამ გარკვეულმა ძალებმა ამის გარშემო აჟიოტაჟი ატეხეს.

– ეს შემთხვევით არ ხდება! დასავლეთში, უწინარეს ყოვლისა კი ვაშინგტონში, ვიღაც-ვიღაცებს სურთ, რომ ბელორუსში მოვლენები უკრაინული სცენარით განვითარდეს, – აცხადებენ ბელორუსის მეხუთე კოლონის წარმომადგენლები.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ისინი მოუწოდებენ პუტინსა და ლუკაშენკოს, მიიღონ ქმედითი ზომები ე.წ. „ამერიკული აგენტურის“ წინააღმდეგ. მოსახლეობაში კი გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა რუსეთ-ბელორუსის გაერთიანებამ ასეთ აჟიოტაჟი აღარ გამოიწვიოს.

– რუსეთთან გაერთიანებას ბელორუსების უმრავლესობა მიესალმება, – ნათქვამია მიმართვაში.

ალესანდრე ლუკაშენკომ ჟურნალისტებთან საუბარში კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ბელორუსი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მომხრეა.

– რა თქმა უნდა, რუსეთი ჩვენი მეგობარი და უმთავრესი პარტნიორია. ბელორუსი მზადაა, რუსეთთან ყველაზე მჭიდრო ინტეგრაციაზე წავიდეს, მაგრამ ეს იქნება სახელმწიფოთა შორის პარტნიორობა. საუბარი რაიმე გაერთიანებაზე უნაყოფოა, – ამბობს ლუკაშენკო.

მალაიზიის მეფე გადადგა

მალაიზიის მეფე მუჰამად მეხუთე ტახტიდან გადადგა. ამის თაობაზე რადიო „თავისუფლება“ იუწყება. მუჰამადი პირველი მონარქია, რომელმაც ტახტზე უარი ნებაყოფლობით განაცხადა. გადადგომის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

ყაზახეთმა კირილიცაზე უარი განაცხადა

ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ხელი მოაწერა განკარგულებას კირილიცის ლათინური ანბანით ჩანაცვლების შესახებ.

– ლათინურ ანბანზე რესპუბლიკა თანდათან, შვიდი წლის მანძილზე უნდა გადავიდეს, – იტყობინება „ნეზავისიმაია გაზეტა“.

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში გასული საუკუნის 30-იან წლებში არაბული ანბანი ლათინურით ჩაანაცვლეს. ამ წამოწყების ძირითადი ინიციატორები იყვნენ ცნობილი ნაციონალ-ბოლშევიკები ტურარ რისკულოვი (ეროვნებით ყაზახი), ბათუ (უზბეკი პოეტი), რამზი (უზბეკი ისტორიკოსი) და ა.შ. 1940 წელს ი.ბ. სტალინის განკარგულებით, ლათინური ანბანი კირილიცათი შეცვალეს.

– ახლა ისევ ლათინურს დავუბრუნდით, – განუცხადა ჟურნალისტებს ნაზარბაევმა.

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ლევან მაისაშვილი: „მაქსიმუმს ვეცდებით, რა გამოვა, იაპონიაში ვნახავთ“

42 წლის ქართველი სპეციალისტი ლევან მაისაშვილი, წლებია საქართველოს ნაკრების სტრუქტურაში (ასაკობრივი, ა და მზარდი ნაკრებები) მოღვაწეობს, 2015 წლის მსოფლიო თასის შემდეგ კი, ბორჯღალოსნების დაცვის თამაშის გაუმჯობესებაზე ოფიციალურად ზრუნავს.

გასულ წელს ჩვენი გუნდი მატჩიდან მატჩამდე და თითოეული შეხვედრის მსვლელობისას აუმჯობესებდა დაცვაში თამაშს. განსაკუთრებით ნოემბრის ტესტები უნდა გამოვყოთ, სადაც იტალიასთან დასკვნითი 23, სამოასთან 50 და ტონგასთან 45 წუთის განმავლობაში ქულა არ მიგვიღია.

– ნოემბერში პირველი მატჩი იტალიასთან გვქონდა, გუნდთან, რომელთან თამაშსაც დიდი ხნის განმავლობაში ვითხოვდით და ველოდით. რას გვეტყვით ამ შეხვედრის შესახებ, რამდენად გამართლდა თქვენი მოლოდინები?

– იტალიასთან თამაშს სამწვრთნელო შტაბი, მოთამაშეები, გულშემატკივრები, ყველანი მოუთმენლად ველოდით. ძალიან რთულია ყველაფრის დაგეგმვა, წინასწარ განსაზღვრა, მაგალითად იმის, რომ ტრავმების გამო ბევრი მოთამაშე დაგვაკლდებოდა. ამან ჩვენს მზადებაში გარკვეული კორექტივები შეიტანა, რადგან ძალიან რთულია მოკლე პერიოდში გუნდთან ამდენი დებიუტანტის იმ დონეზე შეთამაშება, რომ ცვლილებები არ დაგეტყოს. იყო ის ფაქტორიც, რომ ივნისის ტესტების შემდეგ სამწვრთნელო შტაბში ახალი სპეციალისტი გვყავდა. მთლიანობაში, მრავლად იყო ისეთი მომენტები, რაც მოსამზადებლად უფრო მეტ დროს მოითხოვდა. ვისურვებდი, რომ იტალიას სხვა პირობებში შევხვედროდით. არსებულ მდგომარეობაში, მზადების კუთხით მაქსიმუმი გავაკეთეთ, გვქონდა შეკრება საფრანგეთში და ეს მოკლე დრო რაციონალურად გამოვიყენეთ. მთლიანობაში, ამ შეხვედრისთვის ნორმალურად მოვემზადეთ და ვითამაშეთ ის, რაც უნდა გვეთამაშა. რა გამოვიდა და რა მივიღეთ, ეს უკვე სხვა საკითხია. ბუნებრივია, შედეგით კმაყოფილი არ ვარ. 4 ისეთი ღელო მივიღეთ, რომელთა თავიდან არიდება შეიძლებოდა. ეს იყო ზემოთ ნახსენები შეუთამაშებლობის შედეგი. იტალიასთან მეორე, ან მესამე თამაში რომ გვქონოდა, გაცილებით უკეთესი ხარისხი და შედეგი გვექნებოდა. მწვრთნელებს გვქონდა შეგრძნება, მათთან კიდევ ერთხელ თამაშის შესაძლებლობა რომ გვქონოდა, ბევრი რამის გამოსწორება შეიძლებოდა.

– მართალია აუტსაიდერია, მაგრამ იტალია მაინც ექვსი ერის, პირველი დონის სარაგბო ქვეყნის წარმომადგენელია. რამდენად შევძელით მათი სათამაშო ტემპზე აყოლა, განსაკუთრებით დაცვაში?

– აი აქ, ჩემი აზრით, პრობლემა ნამდვილად არ გვქონია. ნოემბრის ტესტებს გუნდი ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში შეხვდა. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ეპიზოდში მეტოქის ტემპს ვერ ავყევით. შემიძლია დეტალურად გავიხსენო ოთხივე ღელო: ორჯერ მოლში ძალისმიერი თამაში დავთმეთ და ფლანგზე მეტობა გაგვიკეთეს, იყო ინდივიდუალური და სისტემური შეცდომები, რომლის მსგავსი შემდგომ შეხვედრებში აღარ გაგვიმეორებია. ჩვენ გვქონია თამაშები, როდესაც მეტოქეს ტემპში ვერ ავყევით, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ იყო და იტალიამ სისწრაფეებში ნამდვილად ვერ გვაჯობა, პირიქით, შეტევაში გვქონდა მომენტები, როდესაც მეტოქეს თავს ჩვენი თამაში მოვახვიეთ. ყველაზე პრობლემატური ისაა, რომ ჩვენ ამ ტიპის თამაშების ნაკლებობას განვიცდით. იტალია მთელი წლის განმავლობაში თავისზე მაღალი დონის გუნდებს ეთამაშება, ჩვენკი ამის ფუფუნება წელიწადში სულ ორჯერ გვეძლევა.

– რა მოხდა სამოასთან პირველ 30 წუთში, როდესაც მეტოქისგან 3 უპასუხო ღელო მივიღეთ?

– თანამედროვე რაგბში, ტაქტიკურად 2 რამეს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა – ბურთის ფლობა და ტერიტორია. თუ შევხედავთ სამოასთან მატჩის სტატისტიკას, მესამე ღელოს მიღების მომენტში ბურთის ფლობა 75/25-ზე იყო მეტოქის სასარგებლოდ. ასეთი დონის გუნდს, ამდენი

ხნის განმავლობაში ბურთს თუ მისცემ, ნებისმიერს გაუჭირდება მასთან თამაში. ამას თავის გასამართლებლად არ ვამბობ, რადგან მაინც შეგვეძლო სამივესი თუ არა, მინიმუმ ერთი ღელოს არიდება. როდესაც ბურთი გვქონდა, შეცდომებს ვუშვებდით, მეტოქის ნახევარზე ვერ გადავდიოდით და სამოამ შეძლო თავისი თამაშის თავზე მოხვევა.

– სამივე ტესტს თუ გავიხსენებთ, მეტოქეებს პირველ ტაიმში ჩვენზე მეტხანს ჰქონდათ ბურთი. რისგან იყო ეს განპირობებული?

– ასე მოხდა და მიზეზი ჩვენი, მწვრთნელების საძიებელია. როდესაც მოწინააღმდეგეს ბურთი დიდი ხნით აქვს, ქულების გაკეთების შანსიც უჩნდება. მათ იმიტომ ჰქონდათ ბურთი, რომ ვუშვებდით შეცდომებს, გვქონდა ტექნიკური წუნი. პირველ ტაიმში მეტოქეები დომინირებდნენ, თუმცა შესვენების შემდეგ ვახერხებდით სისტემაში ჩაჯდომას და ჩვენი თამაშის დაბრუნებას.

– როდესაც სამოასთან ანგარიში 3:19 გახდა, ფიქრობდით, რომ თამაშის შემობრუნებას მოვახერხებდით?

– გასახდელში რომ ჩავედით, მოთამაშეებს და სამწვრთნელო შტაბის თითოეულ წევრს, ყველას გვჯეროდა, რომ ამ თამაშის შემოტრიალება შეგვეძლო და ეს არ იყო მხოლოდ ემოციაზე დაფუძნებული განცდა. პირველ ტაიმში არ გვქონდა იმის გაკეთების შესაძლებლობა, რაზეც მანამდე ვიმუშავეთ, როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. შესვენებისას იყო კონკრეტული მესიჯები, უნდა გვეთამაშა ძალისმიერადაც და ტექნიკურადაც, რაც მოვახერხეთ კიდეც: დავიჭირეთ ბურთი, რამაც თავდაჯერებულობა შეგვმატა დაცვაშიც, აღარ დავუშვით შეცდომები და ამან განაპირობა ჩვენი გამარჯვება. ამას დავამატებდი ფიზიკურ კონდიციებს, რაზეც ზევითაც ვისაუბრე. ნოემბრის ტესტებისთვის ფიზიკურად ძალიან კარგად ვიყავით მომზადებული – იტალიასთან, სამოასთან და ტონგასთან, თამაშის დასასრულისთვის გაცილებით კარგ მდგომარეობაში ვიყავით, ვიდრე მოწინააღმდეგე. ეს შეცვლებმაც განაპირობა, რომლებიც სრულფასოვნად შედიოდნენ მოედანზე და თამაშში საჭირო მუხტი შეჰქონდათ. ეს სწორედ ისაა, რისკენაც მივდივართ. თუ გვინდა, რომ პირველი დონის გუნდები დავამარცხოთ, 23-ივე მოთამაშე უნდა იყოს კომპეტენტური და სრულფასოვანი! სამოასთან მატჩის შემოტრიალება იყო რთული, თუმცა შესაძლებელი და მსგავსი შეხვედრები თავდაჯერებულობას გვმატებს როგორც მწვრთნელებს, ასევე მოთამაშეებს.

– დღესდღეობით ტონგა სამოაზე ძლიერი გუნდია, თუმცა მასთან ღელო აღარ გავუშვით. რამ განაპირობა ჩვენი დაცვის გაცილებით უკეთესი თამაში, რა შეცვალეთ ერთკვირიან შუალედში?

– ნოემბრის სამივე თამაში ერთი და იგივე დაცვითი ტაქტიკით ვიღეთ ის, რაც ტონგასთან ვაჩვენეთ. სწორედ ამიტომ გვჭირდება უფრო მეტი მაღალი დონის შეხვედრა, ტესტების წინ მოსამზადებელი თამაშები, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ. რა თქმა უნდა, იყო განსხვავებები მეტოქის შეტევების სპეციფიკაში, თუმცა იტალიაც, სამოაც და ტონგაც ძალიან კარგად გვყავდა შესწავლილი და თუ კონკრეტულ თამაშებში რაღაც ვერ შევასრულეთ, ეს არ იყო მოულოდნელობის შედეგი. ჩვენ ჩვენს შეცდომებზე ვსწავლობთ და რა დროზითაც მოვახერხებთ მათ გათვალისწინებას, იმ დროზი ვიქნებით წარმატებულები.

– ნოემბერში 4 ღელო გავუშვით იტალიისგან, 3 სამოასგან და არც ერთი ტონგასგან. მთლიანობაში, კმაყოფილი ხართ დაცვაში თამაშით?

– ამ 3 თამაშის ჯამში, დაცვის თამაშით კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, იდეალურამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია, თუმცა დარწმუნებული ვარ, როგორც კი მოგვეცემა ერთად ყოფნის მეტი შანსი, მეტი დრო დეტალების დასახვეწად, გაცილებით უკეთესი შედეგი გვექნება. პირადად მე, როგორც მწვრთნელს, ყოველთვის მაქვს განცდა, რომ რაღაც უკეთესად შეიძლებოდა და სწორედ ესაა წინსვლის საფუძველი.

– ნოემბრისა და ივნისის ტესტებს თუ შევადარებთ, ზაფხულში უმეტესად დაცვიდან ვთამაშობდით და ქულების უმეტესობას მეორე ტაიმში ვუშვებდით. ივნისში მეორე ტაიმში ქულებს თითქმის არ ვიღებდით. რა მოხდა ზაფხულში და რა შეიცვალა მას შემდეგ?

– აქ მთავარი ფიზიკური კონდიციებია. ნოემბერთან შედარებით, ზაფხულში ამ კუთხით ძალიან დიდი სხვაობაა. სეზონის ბოლოა და განსაკუთრებით ლეგიონერები, ვერ არიან სასურველ ფორმაში. ნაწილს პრობლემები აქვთ, გუნდის ძიებაში არიან. ზაფხულისგან განსხვავებით, ნოემბერში ყოველთვის ვახერხებთ ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრას, თუ ვინმეს ტრავმა არ აწუხებს.

– ნოემბერში ნაკრებში რამდენიმე დებიუტანტმა ითამაშა. რას იტყვით მათ შესახებ?

– გუნდში დებიუტანტების შემოდინება ყოველთვის დადებითი პროცესია, განსაკუთრებით 2 მიზეზის გამო: ახალი სისხლი, სიახლე ყოველთვის კარგია და მეორე, იზრდება კონკურენცია და მოთამაშეებს მოდუნების საშუალება არ ეძლევათ. დებიუტანტების თამაშს ერთი სიტყვით შევაფასებ – იყო ბრწყინვალე! აბჟანდაძემ, ძნელაძემ, გოგიჩაშვილმა და გიგაშვილმა თავისი თამაშით ყველას აჩვენეს, რომ ეროვნულ ნაკრებში ღირსეული ნაბიჯი გადადგეს! ძალიან კარგი შევსება მივიღეთ.

– გასაგებია, რომ ლაშა ხმალაძის 15 ნომრად გადაყვანა იძულებითი ნაბიჯი იყო. რამდენად კმაყოფილი ხართ მის ახალ ამპლუაში ხილვით?

– არ ვიტყოდი, რომ ეს მისთვის უჩვეულო პოზიციაა. ჩვენ მიჩვეულები ვართ ლაშას მგზავავდ ხილვას, თუმცა თუ გავიხსენებთ, 2011 წლის მსოფლიო თასზე, ახალ ზელანდიაში, მან 15 ნომერზე ითამაშა. გარდა ამისა, ერთი წლის წინ, არგენტინასთან მატჩში, ლაშამ სწორედ 15 ნომრის პოზიციიდან წამოიწყო ის ბრწყინვალე შეტევა, რომელიც ულამაზესი ღეღოთი დასრულდა. დღეს რაგბი ისეთ დონეზეა, რომ ბექები უნივერსალები უნდა იყვნენ და 10-ს თავისუფლად უნდა შეეძლოს 15-ზე თამაში. ასეთი რამ ძალიან ხშირია თანამედროვე რაგბში და ღია თამაშში ამ პოზიციის მოთამაშეებს ხშირად უწევთ ადგილების გაცვლა. არ მგონია ლაშასთვის ამას დისკომფორტი შეექმნა. ეს შესაძლოა გულშემატკივრისთვის იყო სიახლე, თუმცა ჩვენ გონებაში ყოველთვის გვქონდა მსგავსი გადაადგილება და როცა საქმე მოითხოვდა, ამას გავაკეთებდით. საქმემ ეს ნოემბერში მოითხოვა.

– შემოდგომაზე სამწვრთნელო შტაბს გრეემ როუნთრი შეუერთდა. როგორ დაახასიათებთ მას და როგორ შეეწყო ის საქართველოს ნაკრებს?

– ამ ადამიანის მოთამაშისა და მწვრთნელის კარიერას თუ გადავხედავთ, კითხვაზე პასუხს მივიღებთ – ის უდავოდ ძლიერი სპეციალისტია. რჩებოდა ერთადერთი დეტალი, როგორ შეეწყობოდა ქართულ ხასიათს და საქართველოს ნაკრებს, რომელიც სპეციფიური გუნდია და მგრძნობიარეა ყველაფრის მიმართ. თუ ამ გუნდის ნაწილი არ ხარ, რაც არ უნდა ძლიერი სპეციალისტი იყო, ძალიან ძნელია მასთან მუშაობა. როუნთრიმ ყველა კითხვას პასუხი პირველივე შეხვედრაზე, ვარჯიშზე გასცა. თავისი ადამიანური თვისებებით, ის მარტივად შეეწყო მოთამაშეებსა თუ მწვრთნელებს. ყველას გვაქვს შეგრძნება, თითქოს წლებია ერთად ვმუშაობთ. მისი ხელი გუნდს ამ ტესტებზევე დაეტყო.

– წინ 2019 წლის მსოფლიო თასია, სადაც უელსს, ავსტრალიას, ფიჯისა და ურუგვაის ვეთამაშებით. როგორი იქნება ამ მატჩებში ჩვენი ტაქტიკა, დაცვიდან ვითამაშებთ თუ სხვა ტაქტიკას ავირჩევთ?

– ჩვენი მთავარი მიზანი ბურთის გაკონტროლება იქნება. ის რაც შეიძლება დიდხანს უნდა გვქონდეს და, რა თქმა უნდა, ვითამაშოთ ძლიერი დაცვა. ეს ხანგრძლივი პროცესია. მუშაობა დაწყებულია და გენერალური რეპეტიცია რაგბი ევროპაზე გვექნება, მერე კი, მსოფლიო თასის წინ, მოსამზადებელ თამაშებზე. მხოლოდ დაცვით მოგების დაგეგმვა წარმოუდგენელია, რადგან თუ ბურთს არ ფლობ, გამარჯვების შანსი მინიმალურია.

– რას უნდა ველოდოთ 2019 წლის რაგბი ევროპიდან, რა იქნება ჩვენი მიზანი ამ ტურნირზე – ახალი მოთამაშეების გამოცდა თუ ტაქტიკური სქემების დამუშავება?

– ყველაფერი ერთად. ჩვენ არ ვართ განებივრებული ხარისხიანი თამაშების სიმრავლით, თუმცა ყველა მატჩი ემსახურება იმას, რომ დავხვეწოთ ხარისხი როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. ვფიქრობთ, რომ შემადგენლობაში იქნება გამოცდილი და ახალი მორაგბეების ნაზავი. თუ რაიმე კითხვები დაგვრჩა, ვეცდებით ამოვწეროთ და შევკრათ გუნდი, რადგან მსოფლიო თასამდე არც ისე დიდი დრო რჩება.

– აგვისტოში საქართველოს შოტლანდია ეწვევა, პირველი დონის პირველი გუნდი, რომელიც ჩვენთან ჩამოვა. როგორ აფასებთ ამ მოვლენას?

– ქართული რაგბისთვის ეს ძალიან დიდი მოვლენაა. ამას საფუძველი 2016 წელს ჩაეყარა, როდესაც შოტლანდიის ნაკრებს ქილმარნოქში ვეთამაშეთ. პირველად მაშინ ითქვა, რომ ისინი საქართველოში ჩამოვიდოდნენ და ეს ჩვენთვის დიდი პატივი და დაფასებაა. მსოფლიო თასის წინ ასეთი დონის გუნდთან თამაში დიდი გამოცდილებაა. მთლიანობაში, ამ სტუმრობაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მათ შორის შედეგზეც. არ ვამბობ, რომ შოტლანდიის, ან იტალიის დამარცხებით ექვსი ერის კარი გაიხსნება, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია მუდმივად ვამტკიროთ ამ ტურნირის კარი და ვამტკიცოთ, რომ უფრო მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია, რათა მეტი მაღალი დონის შეხვედრის ჩატარების შანსი მივიღოთ.

– რა იქნება ჩვენი მიზანი მსოფლიო თასზე და რამდენად რეალურია ამ მიზნის მიღწევა?

– მსოფლიო თასზე ემოციურად განსხვავებული თამაშები იქნება, ვიდრე ნებისმიერ ტესტ-მატჩში და ნებისმიერ მათგანში შეიძლება წარმატების მიღწევა. ჩვენი მიზანი მინიმუმ ორი თამაშის მოგებაა და რატომაც არა – სამისაც. ჩვენ გვაქვს ძლიერი მხარეები, რომელიც წელს ფიჯისთან ვერ გამოვავლინეთ და ეს გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებს. ავსტრალიის, უელსისა და ფიჯის ნაკრებებიდან, რომელია უფრო რთული მოწინააღმდეგე, წინასწარ არავინ იცის. თუ გავიხსენებთ, ფიჯი მსოფლიოზე ერთ თამაშს ყოველთვის მაღალ დონეზე ატარებს და როდის მოხდება ეს, წინასწარ ვერავინ იტყვის. ჩვენ ამ სამივე თამაშში მაქსიმუმს ვეცდებით და რა გამოვა, იაპონიაში ვნახავთ.

ᲛᲔᲓᲘᲔᲒᲔᲑᲘ

6 იანვარი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲮᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ავსტრალია-იორდანია	0:1
ტაილანდი-ინდოეთი	1:4
სირია-პალესტინა	0:0

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲛᲔᲘᲠᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ეიბარი-ვილიარეალი	0:0
სევილია-ატლეტიკო	1:1
რეალი-სოსიედადი	0:2
ხეტაფე-ბარსელონა	1:2

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲗᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ბარსელონა	18	12	4	2	50-20	40
2.ატლეტიკო	18	9	8	1	26-13	35
3.სევილია	18	9	6	3	31-18	33
4.ალავესი	18	9	4	5	21-18	31
5.რეალი	18	9	3	6	26-23	30
6.ბეტისი	18	7	5	6	21-21	26
7.ხეტაფე	18	6	7	5	19-15	25
8.ესპანიოლი	18	7	3	8	19-24	24
9.ხირონა	18	5	8	5	20-22	23
10.ლევანტე	18	6	5	7	30-34	23
11.სოსიედადი	18	6	4	8	20-20	22
12.ვალენსია	18	4	10	4	16-16	22
13.ეიბარი	18	5	7	6	21-25	22
14.სელტა	17	5	6	6	28-26	21
15.ვალიადოლიდი	18	5	6	7	16-20	21
16.ლეგანესი	18	4	7	7	16-21	19
17.ვილიარეალი	18	3	8	7	19-23	17
18.ბილბაო	17	2	10	5	16-24	16
19.რაიო	18	4	4	10	18-32	16
20.უესკა	18	2	5	11	17-35	11

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ალმერია-მალიორკა	2:0
დეპორტივო-ლუგო	0:0
ოსასუნა-კადისი	2:1
ხიმნასტიკი-კორდობა	1:0
მალაგა-რეუსი	0:3

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ. ᲞᲘᲠᲛᲔᲘᲠᲘᲡ ᲚᲘ�გᲐ

ბელენენსესი-გიმარაეში	1:0
სეტუბალი-შავიში	0:0
ფეირენშე-სანტა კლარა	2:2
ბენფიკა-რიუ ავე	4:2
ბრაგა-ბოავიშტა	1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბურჯანაძის ორმაგი დუბლი გუნდს არ წაადგა

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურირ წარუმატებელი გამოდგა გიორგი შერმადინის გუნდისთვის. უნიკახამ მალაგაში ტენერიფეს უმასპინძლა და 61:78 დამარცხდა. არ უთამაშია საქართველოს ნაკრების წევრ თად მაკფადენს, რომელიც ტრავმირებულია.

შერმადინი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 17 წუთში 8 ქულა, 5 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 2 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო. შერმადინის სარ-

გებლიანობის კოეფიციენტი 13-ს გაუტოლდა და ის თანაგუნდელთა რიგებში მხოლოდ ფრანგ ცენტრ მატიას ლესორს (27) ჩამორჩა.

მალაგელებს 10 მოგება და 5 მარცხი მოუგროვდათ და ესპანეთის ჩემპიონატში მე-4 ადგილზე იმყოფებიან, მომდევნო მატჩს კი ისევ შინ, მადრიდულ ესტუდიანტესთან გამართავს.

მიმდინარე სეზონში მეორედ, ბექა ბურჯანაძემ ორმაგი დუბლი მოაგროვა. ესპანეთის მორიგი ტურის მატჩში ქართველი ფორვარდის გიპუზკოა სტუმრად ბრეგანს შეხვდა და ჩვენებურის შედეგიანობის მიუხედავად, მარცხი განიცადა – 71:83.

ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში იყო და 31 წუთში 10 ქულა, 10 მოხსნა (2 შეტევაში), 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ბექამ 6-დან 1 ორქულიანი, სამქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. არადა, ქართველი ლეგიონერის მოედანზე ყოფნის პერიოდში, სტუმრებმა მასპინძლებზე 9 ქულით მეტი ჩააგდეს და ეს საუკეთესო მაჩვენებელი იყო, ისევე, როგორც ბურჯანაძის სარგებლიანობის კოეფიციენტი – 18.

გიპუზკოამ მე-15 ტურში უკვე მეთორმეტედ წააგო და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე რჩება, მომდევნო შეხვედრას კი შინ, მანრესასთან ჩაატარებს.

გოგა ბითაძემ ახალი გუნდის მაისურით პირველი გამარჯვება იზეიმა. ბუდუჩნოსტმა პოდგორიცეში ბოსნიურ იგოკეას უმასპინძლა და 96:70 გაანადგურა. ეს გახლდათ პირველი გამარჯვება 8 მარცხის შემდეგ, რომლებიც ბუდუჩნოსტმა ევროლიგასა და ადრიატიკის ლიგაში მიჯრით განიცადა.

პოდგორიცელთა გამარჯვებაში ქართველი ცენტრის წილი სოლიდურია. ბითაძე სათადარიგო იყო და მოედანზე 23 წუთით გამოჩნდა, რა დროშიც 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. გოგამ 5-დან 4 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 17-ს გაუტოლდა და ის თანაგუნდელთა რიგებში მხოლოდ მონტენეგროელ დანილო ნიკოლიჩს (18) ჩამორჩა.

ბუდუჩნოსტმა 9 მოგება და 5 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილში მხოლოდ სერბულ ცრვენა ზვეზდასა და ხორვატულ ცედევიტას ჩამორჩება. ბითაძის გუნდს ადრიატიკის ლიგაში მომდევნო შეხვედრა ბელგრადში ფმპ-სთან ელის, მანამდე კი, ევროლიგის ეგიდით, თელ ავივის მაკაბის ესტუმრება.

სანდრო მამუკელაშვილის სეტონ ჰოლმა დასანანი მარცხი განიცადა. „მეკობრეები“ სტუმრად ეთამაშნენ კონფერენციის ერთ-ერთ მოწინავე გუნდ დე პოლს და 74:75 წააგეს. ქართველ ფორვარდს შეეძლო, მატჩის გმირი გამხდარიყო, თუმცა საფინალო სირენამდე 1 წამით ადრე ნასროლი მისი სამქულიანი კალათში არ ჩაეშვა.

მამუკელაშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 27 წუთში 5 ქულა, 3 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. სანდრომ 6-დამ 1 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი ჩააგდო.

2 მოგებითა და 1 მარცხით სეტონ ჰოლი კონფერენციაში 2-3 ადგილებს სეინთ ჯონსთან იყოფს. მომდევნო მატჩი „მეკობრეებს“ შინ, ბუტლერთან ელის.

ამერიკის სტუდენტურ ლიგაში გამოჩნდა ვილი ისიანი. 21 წლის ქართველი ფორვარდი ჰორაიზონ ლიგის გუნდ დეტროიტ მერსი ტიტანსის წევრია, თუმცა ლიგის რეგულაციების გამო მას აქამდე თამაში აკრძალული ჰქონდა. უნივერსიტეტის გამოცვლის შემთხვევაში სტუდენტურ ლიგაში მკაცრი წესებია და ისიანის აკრძალვაც ამით იყო განპირობებული.

ისიანის დებიუტი ერთი მხრივ წარმატებული იყო და მეორე მხრივ, უიღბლო. მისი გუნდი ჰორაიზონ ლიგის ჩემპიონატის მე-4 მატჩში (მანამდე სამივე შეხვედრა მოგებული ჰქონდა) ჩრდილო კენტუკის ხვდებოდა და უშანსოდ წააგო – 73:95. ქართველი ფორვარდი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და თამაშის მე-14 წუთზე მოედანზე დაცემისას თავი დაარტყა. ის შეცვალეს და მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულად არაფერი დაშავებია, მწვრთნელებმა პარკეტზე აღარ დააბრუნეს.

იმ 11 წუთში, რაც მოედანზე იყო, ვილი საკმაოდ პროდუქტიულად გაისარჯა. ქართველმა ფორვარდმა 5-დან 3 სამქულიანი ჩააგდო და 9 ქულასთან ერთად 1 ჩაჭრა მოაგროვა.

ისიანის გუნდი 3 მოგებითა და 1 მარცხით ლიგაში 2-4 ადგილებს ოკლენდთან და ჩრდილო კენტუკისთან იყოფს, ხოლო ლიდერი დაუმარცხებელი გრინ ბეია. სწორედ ლიდერთან გამართავს შემდეგ მატჩს დეტროიტ ტიტანსი შინაურ არენაზე.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

რიგის ცენტრში ტურისტები სექსის გამო დააკავეს

რიგაში ადგილობრივმა პოლიციამ რუსეთისა და გერმანიის მოქალაქეები დააკავა, რომლებიც ქალაქის ცენტრში სექსით იყვნენ დაკავებულები.

წყვილი კალიკიუს ქუჩაზე სათვალთვალო ვიდეო კამერის წყალობით შენიშნეს. ამის შემდეგ შემთხვევის ადგილისკენ საპატრულო ეკიპაჟი გაემართა, რომელთაც წესრიგის დამრღვევები დააკავეს.

ტურისტების თქმით, მათ საზოგადოებრივ ადგილას სექსით დაკავება ექსტრემალური შეგრძნების მისაღებად გადაწყვიტეს.

– მე და ჩემ მეგობარს ორი თვის განმავლობაში მიმოწერა გვქონდა და მხოლოდ ახლახან მოვახერხეთ შეხვედრა. ჩვენ არანორმალურები სულაც არ ვართ, უბრალოდ ასე გამოვიდა. ეს უბრალოდ რომანტიკაა და მეტი არაფერი, – განუცხადა პოლიციელებს გოგონამ.

საბოლოოდ ორივე უცხოელი ტურისტი 200-200 ევროთი დააჯარიმეს.

აშშ-ში საოცნებო სამუშაო გამოჩნდა

ამერიკის კალიფორნიის შტატში გახსნილია კუნძულზე განლაგებული შუქურის ზედამხედველის ვაკანსია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

შუქურა და მცირე სასტუმრო სან-ფრანცისკოს მახლობლად მდებარე კუნძულზეა განლაგებული. მათ ამჟამინდელი ზედამხედველების შეცვლა სჭირდებათ, ვინაიდან ისინი მატერიკზე ბრუნდებიან.

კანდიდატების სახით წყვილები განიხილებიან. მათ ექნებათ ხელფასი 130 ათასი დოლარი წელიწადში, ასევე საცხოვრებელი და კვება. ამასთან განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნება, რომ კუნძულზე ბევრი ჩვეულებრივი კომფორტი არ არსებობს, ისეთი, როგორიცაა უკაბელო ინტერნეტი ან ტელევიზია.

კანდიდატები მზად უნდა იყვნენ, შეასრულონ ყველა აუცილებელი სამუშაო შუქურისა და სასტუმროს მოსავლელად, მათ შორის საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება და სტუმრების კუნძულზე გადაყვანა და მათი უკან გამგზავრება.

ტურისტებს იაპონიაში გადასახადებს გადაახდევინებენ

იაპონიაში ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმადაც ყოველი ტურისტი, რომელიც ქვეყნიდან გაემგზავრება, ვალდებული იქნება გადასახადი გადაიხადოს.

აღსანიშნავია, რომ გადასახდელი თანხა 1000 იენი იქნება. აღნიშნული კანონი ყველა ქვეყნის მოქალაქეებისთვის ამოქმედდება. გადასახადებისგან მხოლოდ ის პირები იქნებიან განთავისუფლებულები, რომელთაც გასამგზავრებელი ბილეთები 7 იანვრამდე იყიდეს, ასევე ორ წლამდე ასაკის ბავშვები, ტრანზიტით მიმავალი მგზავრები, დიპლომატები და სახელმწიფო სპეცრეისების მგზავრები. გარდა ამისა, გადასახადს არ

გადაიხდიან ხომალდებისა და თვითმფრინავების ეკიპაჟის წევრები, ასევე მგზავრები, რომლებიც თვითმფრინავის იძულებითი დაშვების, ან საზღვაო ხომალდის ქვეყნის პორტში იძულებით შესვლის გამო აღმოჩნდებიან იაპონიის ტერიტორიაზე.

ქვეყნის ხელისუფლებამ დაიანგარიშა, რომ 2020 წლისთვის იაპონიას დაახლოებით 40 მილიონი ტურისტი ეწვევა. 2019 წელს შემოსავალი ტურისტების გადასახადებიდან 50 მილიარდ იენს მიაღწევს. ამავე დროს მოქმედებას აგრძელებს ვიზების უფასოდ გაცემის კანონი.

ბრაზილიელმა გოგონამ თავდამსხმელ მძარცველს სასტიკად ცემა

ბრაზილიელმა გოგონამ პოლიანა ვიანამ, რომელიც აბსოლუტურ საბრძოლო ჩემპიონატში გამოდის, სასტიკად სცემა მძარცველს, რომელიც მას რიო-დე-ჟანეიროში თავს დაესხა.

გოგონა თავის სახლის მახლობლად ტაქსს ელოდებოდა, როდესაც მასთან უცნობი მამაკაცი მივიდა და ჰკითხა რა დრო იყო. მან უპასუხა და შენიშნა, რომ ის იქვე დარჩა. როდესაც ვიანამ ტელეფონი ამოიღო, მამაკაცმა მას უთხრა: „ტელეფონი მომეცი და წინააღმდეგობის გაწევა არ დაიწყო, შეიარაღებული ვარ!“

გოგონამ გადაწყვიტა მძარცველი მანამდე გაენეიტრალებინა, სანამ ის იარაღს ამოიღებდა. მან მამაკაცს რამდენიმე დარტყმა მიაყენა, შემდეგ კი მახრჩობელა ილეთი ჩაუტარა. ის მძარცველს ასეთი ხერხით აკავებდა, გამვლელებს კი პოლიციის გამოძახება სთხოვა. სამართალდამცავები მალე მოვიდნენ და ნაცემი მძარცველი დააპატიმრეს. მისი ფოტოსურათი კი ინსტაგრამში აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატის ხელმძღვანელმა დეინა უაიტმა გამოაქვეყნა.

27 წლის ვიანამ სპორტული კარიერა 2013 წელს დაიწყო. ამ დროის მანძილზე მან 12 ორთაბრძოლა გამართა, აქედან ათში გაიმარჯვა, ხოლო ორში დამარცხდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 იანვრისათვის

ვერძი – გონიერებას მოუხმეთ. სანამ რამეს გადაწყვეტთ, სიტუაცია კარგად აწონ-დაწონეთ. ** კურო** – მიზნის მიღწევაში შეუპოვრობა და სიჯიუტე დაგეხმარებათ. უკან ნუ დაიხევთ. **ტყუპები** – ნუ იქნებით მეტისმეტად მიმნდობი. მიამიტობა დღეს ცუდ სამსახურს გაგიწევთ და მოტყუებული დარჩებით. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი და ერთ-ერთი გამორჩეული დღეა. თავს ძალიან კარგად გრძნობთ. **ლომი** – მოულოდნელი შეხვედრა ან ახალი ინფორმაცია გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. **ქალწული** – თუ ახალი სამსახური შემოგთავაზეს, უყოყმანოდ დათანხმდით. ფორტუნა გიღიმით. **სასწორი** – მცდარი ინფორმაცია თქვენს გეგმებზე უარყოფით გავლენას მოახდენს. დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ. **ღრიანკალი** – ცვლილებები შეიტანეთ ყოფაში, გარეგნობაში. ახალი იმიჯი წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე და საღი განსჯის უნარი შეინარჩუნეთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. ყველაფერში გიმართლებთ. ახალი შემოთავაზებით კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. შესაძლოა, მეგობრების დახმარება დაგჭირდეთ. **თევზები** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე, სათნოება. თქვენს აზრს გარშემომყოფები ანგარიშს გაუწევენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მოკარნახე თეატრში; 2. ფეთქებადი ჭურვი; 3. გონებასუსტი ადამიანი; 4. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 7. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 9. პროფესიონალი გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეებში; 12. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 15. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი. 20. ორსართულიანი ლაზური სახლი.

თარაზულად: 5. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 6. მე-14 საუკუნის ქართველი ფერმწერი, მოხატა უბისის მონასტერი; 8. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 10. შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური სტატია, პუბლიკაცია; 11. მონარქიული სახელმწიფო აზიაში; 13. გერმანული ლუდი; 16. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 18. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 19. ქვეწარმავლის შხამი; 21. რაიონული ცენტრი კახეთში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 23. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი იტალიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბალზაკი; 3. ვენერა; 8. ალმანი; 10. კარტელი; 11. ექსპო; 12. მირანდა; 14. გრანდი; 15. კრაზანა; 16. რკალი; 19. კრიპტო; 20. სამურაი; 21. კატარი.

შვეულად: 1. ბისექტრისა; 2. კოდაკი; 3. ვენეცია; 4. რეისი; 5. ოლეანდრი; 6. მარნა; 7. დისპლეი; 9. საპონი; 13. მარიო; 17. ანოა; 18. ბეი.

სკანვორდის პასუხები:

1. სკა; 2. ამია; 3. აირანი; 4. ალი; 5. კიმ; 6. არა; 7. არია; 8. საია; 9. ვაფლი; 10. ასორტი; 11. აბა; 12. მაიკ; 13. ატიმია; 14. აბელი; 15. მელ; 16. ინა; 17. კალა; 18. ნეი; 19. კივი; 20. პირანია; 21. მიო; 22. ხი; 23. პანთერა; 24. უი; 25. კუ; 26. აპდაიკი; 27. სიო; 28. დუ; 29. ორთი; 30. მოდიუსი; 31. კარლ; 32. მონიტორი; 33. აკრი; 34. რემისია.

სურათებზე: ლაიმა ვაიკულე; ლუკას პოდოლსკი.

დალი ჩიტალაძე შობის ღამეს გაქურდეს

მოდის ექსპერტი დალი ჩიტალაძე გაქურდეს. შემთხვევა შობის ღამეს თბილისში მოხდა.

დალი ჩიტალაძე:

– შობის ღამეს ჩემი მანქანიდან მომპარეს ჩანთა. მპოვნელი დასაჩუქრდება, შანელის შავი ჩანთა, პორტმანში მიდევს საბუთები, პრავა, ტეხპასპორტი, პირადობა...

ოთო და ბესიკ ნემსაძეები კონკურენტები გახდნენ

მომღერლები ოთო და ბესიკ ნემსაძეები კონკურენტები გახდნენ.

ძმები მუსიკალურ პროექტში „საქართველოს ვარსკვლავში“ იღებენ მონაწილეობას და ევროვიზიაზე საქართველოს წარსადგენად იბრძვიან.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ძმები ერთ პროექტში მონაწილეობენ.

ოთო ნემსაძე:

– კიდევ ერთხელ უნდა განერვიულოთ, რა ვქნა, მანიაკი ვარ, „საქართველოს ვარსკვლავი“ დაიწყო.

ბესიკ ნემსაძე:

– მგონი უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ორი ძმა ერთ პროექტში, ერთმანეთის წინააღმდეგ იღებს მონაწილეობას. გპირდებით, არ ვიჩხუბებთ. გვისურვეთ წარმატება! ძალიან მაგარ პროექტში „საქართველოს ვარსკვლავი“!

სამგლოვიარო განცხადებები

მიხეილ სამსონაძე

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა დამსახურებული ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი მიხეილ სამსონაძე.

მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით მ. სამსონაძე დაკავშირებული იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტთან – აქ შედგა ის როგორც მეცნიერი და მოქალაქე: დაიცვა ჯერ საკანდიდატო და შემდეგ სადოქტორო დისერტაციები, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა უახლესი ისტორიის განყოფილებას, იყო სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი, ეწეოდა ნაყოფიერ და შინაარსიან სამეცნიერო ცხოვრებას.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო საქართველოს XVIII-XX საუკუნეების ისტორიის კარდინალური პრობლემები, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი ნაშრომები, რომლებშიც XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და განსაკუთრებით კი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებია შესწავლილი. მისი მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები თუ წერილები შუქს ფენდნენ ქართველი ხალხის ისტორიის არა ერთ საინტერესო საკითხსა თუ პრობლემას.

იგი მონაწილეობდა არა ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტსა თუ წამოწყებაში – ის იყო საქართველოში ძალიან პოპულარული და გახმაურებული ნაშრომის „საქართველოს ისტორიის“ (ოთხტომეული) მე-3 ტომის რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი; მ. სამსონაძე იყო თანაავტორი საქართველოს ისტორიის ერთტომეულისაც, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების გამომცემლობა „ნოვამ“ ინგლისურ ენაზე დიდი ტირაჟით დაბეჭდა და მთელს მსოფლიოში გაავრცელა.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მ. სამსონაძე გამოირჩეოდა მეცნიერული პრინციპულობით, აზრის სიღრმით, სამეცნიერო პრობლემის ლოგიკური დასაბუთებით, ობიექტურობით. მან აღზარდა არა ერთი ახალგაზრდა ისტორიკოსი. დიდია მისი წვლილი ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ადამიანური თვისებები: მეგობრობა, თანაგრძნობა, მხარდაჭერა, კოლეგიალობა. ის მეგობარ-ამხანაგებში გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა სწორედ თავისი უკომპრომისობით, ადამიანის ბედისადმი დიდსულოვანი დამოკიდებულებით, სიყვარულით.

მისი მეგობრები, კოლეგები უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამთ ღირსეული ქართველი მამულიშვილის, გამორჩეული მეცნიერისა და საყვარელი კოლეგის გარდაცვალების გამო.

აკად. დავით მუსხელიშვილი
პროფ. ალექსანდრე დაუშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსის, პროფესორ

მიხეილ სამსონაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

საქართველოს პატრიარქმა ლოტბარი ლია სალაყაია დაჯილდოვა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოში საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ორდენი გადასცა ლია სალაყაიას, რომელიც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დუშეთის სალოტბარო სკოლის ლოტბარი და რეგენტია.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი საპატრიარქოში გაიმართა. როგორც პატრიარქმა განაცხადა, ეს არის ქალბატონი, რომელიც უკვე 40 წელია, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობს, ასწავლის ქართულ საგალობლებსა და ხალხურ სიმღერებს:

– ჩვენ გვყავს ახალგაზრდა ქალბატონი, რომელსაც აქვს მოვლილი ფეხით მთელი საქართველო და აი, ამ მოგზაურობის დროს, 40 წელია მოღვაწეობს და ასწავლის ქართულ საგალობლებს, ხალხურ სიმღერებს, კითხულობს ლექციებს და ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, გვინდა დავაჯილდოვოთ უმაღლესი ჯილდოთი საქართველოს ეკლესიის სახელით, წმინდა გიორგის ორდენით, – განაცხადა მისმა უწმინდესობამ.

თამრიკო ჭოხონელიძემ, მარიამ როინიშვილმა და ელენე მახარაძემ „ალილო“ იგალობეს

ქრისტეშობის მთავარი საგალობელი – „ალილო“ სამების ტაძარში სამი თაობის წარმომადგენელმა თამრიკო ჭოხონელიძემ, მარიამ როინიშვილმა და ელენე მახარაძემ ერთად შეასრულეს.

ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა. მან დიდი მოწონება დაიმსახურა და უამრავი დადებითი კომენტარი და გაზიარება მოიპოვა.

საქართველოში ტრადიციული ალილო გაიმართა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და მასში მონაწილეობენ სხვადასხვა ფორმაში ჩაცმული ადამიანები, ზოგი მწყემსია, ზოგი მოგვი, პატარა ბავშვებს კი ანგელოზის ფორმები აცვიათ. ეს ნიშნავს გაცოცხლებას იმ სახარებისეული ამბებისა, რომელიც 21 საუკუნის წინ მოხდა, როდესაც მაცხოვარი იშვა ამ ქვეყანაზე. როგორც ანგელოზებისაგან ეხარათ მწყემსებს და მოგვები ჩამოვიდნენ უცხო ქვეყნიდან მის თაყვანისსაცემად, სწორედ ამის გაცოცხლებაა დღევანდელ დღეს. ჩვენ ვართ ქრისტეშობის მახარობლები.

საქართველოში შობას ალილოობის ტრადიცია არსებობს. უკვე საუკუნეებია, ქართველები ალილოობის მონაწილეებს და მიმლოცველებს სხვადასხვა საჩუქრებით ხვდებიან: ფულით, ფქვილით, ერბოთი, თხილ-კაკლით, საშობაოდ დაკლული ღორის ხორცით, ყოველივე იმით, რაც მოეპოვებოდა და რა თქმა უნდა, კვერცხით, აჯილდოვებდა მეალილოებს, შობის სიმბოლოთი, რომელიც სულ მალე, აღდგომას, ქრისტეს ჯვარცმის ნიშნად წითლად შეიღებებოდა და მეჭონეებს, ქრისტეს აღდგომის მახარობლებს მიერთმეოდა. კვერცხით, რომელიც ოდითგან საუცხოო საჩუქრად ითვლებოდა. და ვაი, მას, ვინც ძღვენს დაინანებდა. ამას გარდა, ქრისტიანი ქართველი მოსულში, ყოველ სტუმარში, მათ შორის ყოველ მეალილოეში ღმერთს ხედავდა, რომელთათვის მირთმეული ძღვენი შესაწირიც იყო და საჩუქარიც, დიდებაც და თაყვანისცემაც!

7 იანვარს შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინა.

„ბიბლიის“ მიხედვით, ისრაელი იმ დროისათვის რომის იმპერატორს ემორჩილებოდა. ერთხელაც, იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, ყველა ჩემი ქვეშევრდომი იმ ქალაქში ჩაეწეროს, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენო. იოსების და მარიამის მშობლიური ქალაქი ბეთლემი იყო. ისინი გაემგზავრნენ ბეთლემისკენ და როცა ქალაქში მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი ხალხის ჩამოსვლის გამო, ბეთლემი გადავსებული იყო. ამიტომ რადგან ბინა ვერ იშოვეს, ქალაქის განაპირას, მწყემსების გამოქვაბულს შეაფარეს თავი. სწორედ ამ ღამეს დაუდგა მარიამს მშობიარობის დრო. შვა ვაჟი – ძე ღვთისა. მწყემსებმა, რომელნიც ქალაქის სიახლოვეს ცხვარს აძოვებდნენ, ცაში დაინახეს ნათება და ბრწყინვალე ანგელოზი, რომელმაც ხალხს მაცხოვრის დაბადება ახარა.

შობა ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი სულიერი დღესასწაულია. მას ეგებებიან ლოცვით, მარხვით, აღსარებით, ზიარებით. საქართველოში შობას ძველი სტილით, ანუ იულიუსის კალენდრის მიხედვით აღნიშნავენ. იულიუსის კალენდარი 325 წელს მიიღო ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ და ჩვენი ეკლესია მას დღემდე იცავს.

ალილოობა გასული საუკუნის 90-იან წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ- აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ინიციატივით აღდგა. განახლებული ალილო 2000 წლიდან აღინიშნება. საქართველოში ალილოს ტრადიციას მრავალწლიანი ისტორია აქვს, რომელიც ისტორიაში მხოლოდ ერთხელ დაირღვა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. დღესდღეობით ალილოს ზეიმობენ სადღესასწაულო ლიტურგიის შემდეგ, როდესაც მრავალი ეკლესიის მრევლი უერთდება ალილოს მსვლელობას. მასზე დასწრება კი ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

თბილისში საშობაო ალილო პირველი რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყო. სასულიერო პირებმა საკმევლის კმევით და ნაკურთხი წყლის პკურებით მოგვებთან, მწყემსებთან და მახარობლებთან ერთად საშობაო მუსიკისა და გალობის ფონზე გაიარეს რუსთაველის გამზირი, თავისუფლების მოედანი, ბარათაშვილის ხიდი და ბოლოს სამების ტაძართან მივიდნენ. მსვლელობის მონაწილეებს წინ მიუძღოდათ შობის ხატი. პროცესიის წინ თეთრ სტიქარში გამოწყობილი პატარები მიდიოდნენ, მათ მიჰყვებოდნენ მწყემსები და სასულიერო პირები.

მეალილოეებმა მსვლელობის განმავლობაში მოსახლეობის მიერ შეწირული ტკბილეული შეაგროვეს. მათ საშობაო საჩუქრები გადასცეს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, პარლამენტარებმა და საკრებულოს წევრებმა.

ალილოზე შეგროვილი ნობათი მეალილოეებმა სამების ეკლესიაში მიიტანეს. საჩუქრები დახარისხდება და მათ ბავშვთა სახლებს, მოხუცთა თავშესაფრებს, საპატიმროებს და გაჭირვებულ მოსახლეობას გადაუნაწილებენ.

ჩრდილების თეატრი პრემიერისთვის ემზადება

8 იანვარს ჩრდილების თეატრში პრემიერაა. ჩრდილების თეატრი დახურულ პრემიერაზე მიწვეულ სტუმრებს ახალ ნამუშევარს წარუდგენს.

რეჟისორმა გელა კანდელაკმა იოჰან სებასტიან ბახის მიხედვით სპექტაკლი „მათეს ვნებანი“ დადგა.

რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე პრემიერასთან ერთად, დაგეგმილია პრეზენტაციაც. პრეზენტაცია თარგმნილი სერიისა „ქართული კლასიკა“ და პრემიერა ჩრდილების თეატრის სპექტაკლისა „მათეს ვნებანი“ იოჰან სებასტიან ბახის მიხედვით.

სტეფანწმინდაში სიონის ეკლესიის გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა

სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში მდებარე სიონის ეკლესიის კრიტიკული სეგმენტის გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა.

გადაუდებელი სარესტავრაციო პროცესის მსვლელობისას, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვისა და დაფინანსების საფუძველზე წარიმართა, მოეწყო მონოლითური რკინა-ბეტონის ხიმინჯი, დამონტაჟდა და დაიგრუნტა ეკლესიის საძირკვლის კუთხის საყრდენი პირამიდისებრი ლითონკონსტრუქცია. სარეაბილიტაციო სამუშაოებისას ტაძრის ტერიტორიის მეწყრულ ფერდობზე დამატებით მოეწყო მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკველი.

სტეფანწმინდის სიონის ეკლესიის გალავანი გადაუღებელი წვიმის შედეგად გასული წლის 26 ოქტომბერს დაზიანდა. მნიშვნელოვანი სეგმენტის ჩამოშლის შედეგად ტაძრის ძირითად ნაწილს ჩამონგრევის რეალური საშიშროება შეექმნა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მყისიერი რეაგირების ფარგლებში მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე დაწყებული დროებითი გამაგრებითი სამუშაოები ერთი თვის ინტერვალში დასრულდა.

სარესტავრაციო სამუშაოების მეორე ეტაპი წელს გაგრძელდება, რაც გალავნის ჩამოშლილი მონაკვეთის ქვის წყობის ავთენტური იერსახით აღდგენას ითვალისწინებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 იანვრისთვის

აშშ დოლარი — 2.6744

ევრო — 3.0491

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3895

100 რუსული რუბლი — 3.9241

ამინდის პროგნოზი 8 იანვრისთვის



8 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი
საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

10 იანვრიდან

რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

პრინცი ჰარი ცხოვრების სტილს ცვლის

ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ საკუთარი მეუღლის მეგან მარკლის გამო საკუთარი ცხოვრების სტილი შეცვალა.

კერძოდ, მან შეამცირა ალკოჰოლის მოხმარება. ახლახან გამართულ სამეფო მიღებაზე პრინცი ჰარი მხოლოდ მინერალურ წყალს სვამდა. აღსანიშნავია, რომ ეს მისთვის სერიოზული მიღწევაა, ვინაიდან მას ალკოჰოლური სასმელები ახალგაზრდულ ასაკიდანვე უყვარდა.

ასევე პრინცი ჰარი ცდილობს, არ მიიღოს ხორცის პროდუქტები და უმეტესად ბოსტნეულს და ხილს შეექცევა, ვინაიდან მეგან მარკლი ცხოველთა უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწეობს.

ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მან გადაწყვიტა ტრადიციული ნადირობაც კი გამოტოვოს, რათა ამით მეუღლეს არ აწყენინოს.

კიმ კარდაშიანი მეოთხე ბავშვისთვის ემზადება

კარდაშიან-ჯენერ-უესტის ოჯახში ბავშვები უყვართ. მიუხედავად იმისა, რომ 39 წლის კიმ კარდაშიან-უესტს ბავშვების გაჩენა აღარ შეუძლია, ამ ამოცანის შესრულებაში უკვე მეორედ სუროგატი დედა დაეხმარება.

კიმ კარდაშიან-უესტი მეოთხედ გახდება დედა. წყვილთან დაახლოებულმა უამრავმა პირმა ერთ-ერთ საინფორმაციო პორტალს დაუდასტურეს, რომ ტელევარსკვლავის სუროგატი დედა უკვე ფეხმძიმედაა.

მათივე მტკიცებით, პოპულარული ოჯახის ახალი წევრის დაბადება მაისის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი და ამასთან, დიდი ალბათობით, ის ბიჭი იქნება. რეპერისა და დიზაინერის კანიე უესტის ოჯახში უკვე ჰყავთ 5 წლის ნორტი, მისი უმცროსი ძმა სეინტი (სამი წლის) და 11 თვის გოგონა ჩიკაგო, რომელიც ქვეყანას ასევე სუროგატი დედის წყალობით მოევლინა.

ვარსკვლავური ოჯახის ერთ-ერთმა ახლობელმა ტაბლოიდებს განუცხადა, რომ კიმს ყოველთვის სურდა ოთხი ბავშვი ჰყოლოდა და ის ამ მხრივ გაუსწრებს თავის უფროს დას კორტნის, რომელსაც მეწარმე სკოტ დისკთან ქორწინებიდან სამი შვილი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ქალიშვილი დედას შესჩივის:

– მე და ჩემმა ქმარმა ვიჩხუბეთ და ბოლოს ასე მითხრა, ჯანდაბამდე გზა გქონიაო!

– და ამიტომ ჩემთან მოხვედი?

•••

დედა გარეთ მიმავალ შვილს გაკვირვებული ეკითხება:

– შვილო, ჩექმები რატომ ჩაიცვი, გარეთ ხომ თბილა და თანაც სიმშრალეა?

– ტალახს მაინც ვიპოვი!

•••

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– საარსებო მინიმუმი რა არის?

– საარსებო მინიმუმია მეცნიერულად გამოთვლილი იმის ანგარიში, თუ რა სჭირდება ხალხს იმისთვის, კარგად იცხოვროს ხელისუფლებამ.

•••

ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, ნახე, იმ ბიძიას როგორი მელოტი თავი აქვს.

– ჩუმად, შვილო, არ გაიგოს.

– რა, ჯერ არ იცის?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენ როგორ ფიქრობ, ჩვენი ეკონომიკა რომ ინგრევა, ეს ჩვენი მთავრობის ბრალია?

– და შენ თავად რას ფიქრობ, მისი დამსახურებაა?

•••

უფროსი ხელქვეითს ეკითხება:

– ჩვენ ორს შორის ვინ არის უტვინო?

– ჩვენს სამსახურში ყველამ იცის, რომ ჩვენს უფროსს სამსახურში უტვინო თანამშრომლები არ აჰყავს.

•••

ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, რამდენი იქნება ჩემი წონისთვის იდეალური სიმაღლე?

– ოთხი მეტრი.

•••

ქმარი ცოლს სთავაზობს:

– მოდი, ვითამაშოთ.

– რა?

– შენ წითელქუდა იქნები, მე კი მგელი.

– კარგი, დავიწყოთ!

– მიდი ღვეზელები გამოაცხვე...

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– თქვენი სახელი მომწონს.

– გმადლობთ, დაბადების დღეზე მაჩუქეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველოში ტრადიციული ალილო გაიმართა

მთელ საქართველოში შობის დღესასწაულზე ტრადიციული ალილო გაიმართა.

მეალილოეებმა საქართველოს ყველა რეგიონში შეაგროვეს ტკბილეული და საჩუქრები მზურნველობამოკლებული ბავშვებისთვის, პანსიონატებში მცხოვრები ხანდაზმულებისა და პატიმრებისთვის.

ალილოს ტრადიცია 2001 წლიდან მისი უწმინდესობის ინიციატივით აღინიშნება. მას თეატრალიზებული ფორმა აქვს

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ბასილაშვილმა ტოპ 20-ში შეაბიჯა

ვაჟ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგში 26 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილი კარიერაში პირველად მოხვდა ტოპ ოცეულში! განახლებულ რეიტინგ-ლისტში ქართველი ჩოგბურთელი 1.820 ქულით მსოფლიოს მე-20 ჩოგანია. ნიკასთვის როგორც ქულების რაოდენობა, ისე ადგილი მსოფლიოს კლასიფიკაციაში კარიერის ახალი რეკორდია.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა ვაჟთა შორის ტოპ 20-ში საქართველოს წარმომადგენელია. უფრო მაღალ საფეხურზე ალექსანდრე მეტრეველი 1974 წელს იყო, რომელიც მე-9 ჩოგანი გახლდათ, მაგრამ საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდა.

საქართველოს სახელით კი, ყველაზე მაღალი რეიტინგი ლეილა მესხს ჰქონდა, რომელიც 1991 წელს ქალთა შორის მე-12 ჩოგანი იყო.

შეგახსენებთ, რომ ნიკამ წარმატებით დაიწყო ახალი სეზონი დოჰაში, ყატარის ღია პირველობაზე მეოთხედფინალში ითამაშა, სადაც მსოფლიოს პირველ ჩოგან ნოვაკ ჯოკოვიჩთან დამარცხდა.

ბასილაშვილის „შემდეგი გაჩერება“ ავსტრალიის ღია პირველობა იქნება.

ბაიერნსა და დორტმუნდს მორატა მოუნდათ

დიდი შანსია სესკ ფაბრეგასის შემდეგ ლონდონის ჩელსი კიდევ ერთმა ესპანელმა ფეხბურთელმა დატოვოს. მიუნხენის ბაიერნსა და დორტმუნდის ბორუსიას წინა ხაზის გაძლიერება სურთ და 26 წლის თავდამსხმელის გადაბირება ორივე გერმანულ გრანდს მოუწადინებია.

გერმანული მედია წერს, რომ გამორიცხული არ არის, მორატამ ჩელსი იანვარშივე დატოვოს. როგორც იცით, ლონდონური კლუბი მილანიდან გონსალო იგუაინის გადაბირებას ცდილობს და ამ სურვილის ფარგლებში, არგენტინელისა და ესპანელის გაცვლის ვარიანტიც განიხილება, თუმცა მორატა მილანში თამაშის პერსპექტივით მოხიბლული არ ჩანს.

თუკი ჩელსი 2017 წელს რეალიდან 66 მილიონ ევროდ შეძენილ თავდამსხმელს მაინც დათმობს, ბაიერნისა და დორტმუნდის კონკურენტი მისთვის ბრძოლაში სევილიაც იქნება. ამავდროულად, მორატას დაბრუნებაზე თურმე მადრიდშიც ფიქრობენ.

თავად ესპანელს ჩელსიდან შესაძლო წასვლის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია და უცნობია, მოისურვებს თუ არა რომელიმე გერმანულ გრანდში გადასვლას. ფაქტია, რომ ბაიერნს ცენტრფორვარდის პოზიციაზე რობერტ ლევანდოვსკი ჰყავს, დორტმუნდს – პაკო ალკასერი. თუმცა მორატას პლუსი ის არის, რომ მას მეორე ფორვარდის პოზიციაზეც შეუძლია თამაში და გარემარბობაც კარგად გამოსდის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ↄ



შვეულად: 1. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 2. გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი; 3. ფრანგი მოქანდაკე, თავისუფლების ქანდაკების ავტორი ნიუ იორკში; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 8. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 12. ქართველი მეფე, საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი; 16. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 17. ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 18. მოკლე, მისასალმებელი სადღეგრძელო.

თარაზულად: 1. ჰაერში დაგროვილი შესქელებული წყლის ორთქლი; 5. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 7. ოდესის ძველი სახელწოდება; 9. ბრაზილიის ნაკრებისა და პარიზის „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 10. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 13. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 14. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 15. მდინარე პარიზში; 19. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ბადაგისგან მომზადებული ტკბილეული; 21. მონასტერი კასპის რაიონში; 22. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი ბურგუნდიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა